



ხარისხის განვითარების
და შესაძლებლობების
გაძლიერების ხელშეწყობის
პროგრამა საქართველოს
პროფესიული განათლების
სექტორში


სტრუქტურული ორიენტირებული
სანაწილო მასალების
მომზადების გზამკვლევი

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის ფარგლებში





სტრუქტურული ორიენტირებული სასწავლო მასალების მომზადების გზამკვლევი



პროექტი დაფინანსებულია ევროპის კავშირის ფარგლებში



ხარისხის განვითარებისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში



განათლების
საინჟინრო განვითარების
ქრონული მწიფი

გამოცემა მომზადდა ევროკავშირის მხარდაჭერით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია IFOA და აქ წარმოდგენილი მოსაზრებები არ წარმოადგენს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

წინასიტყვაობა

2004 წელს საქართველო ევროპის სამეზობლო პოლიტიკას შეუერთდა, რის საფუძველზეც ევროკავშირთან პოლიტიკური, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის ახალი პერსპექტივა შეიქმნა. 2006 წლის ნოემბერში ხელი მოეწერა საქართველოსთვის განკუთვნილ სამოქმედო გეგმას, რომელიც მოიცავს ხუთწლიან პერიოდს და მის განხორციელებას საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკურ ინტეგრაციასა და პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს.

პროფესიული განათლების რეფორმის მხარდაჭერა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. პროფესიული განათლების სისტემა საქართველოში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად არის მიჩნეული. 2009 წლიდან საქართველოს მთავრობამ ფართო მასშტაბიანი რეფორმების ფარგლებში არაერთი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილება განახორციელა, რომლის მიზანი იყო პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესება მისი საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისა და მიმზიდველობის გაზრდის მეშვეობით (განსაკუთრებით დამსაქმებლებისა და სტუდენტებისთვის).

2012 წლის სექტემბრიდან ევროკავშირის პროექტი „ხარისხის განვითარებისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში“ (EuropeAid/132132/C/SER/GE) ხელს უწყობს რეფორმების განხორციელებას პროფესიული განათლების ისეთ სფეროებში როგორცაა, პროფესიული განათლების შესაბამისობის გაზრდა, სტუდენტთა გამოკითხვის მეთოდოლოგიის შემუშავება, პროფესიული სტანდარტებისა და მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება, პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლება, სოციალურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და დასაქმების ხელშეწყობა, პროფესიული ორიენტაციისა და პრაქტიკული სწავლების გაუმჯობესება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად პროექტის ფარგლებში შემუშავდა „პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია – 2013-2020 წწ“ და „დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში“

პროექტის ფარგლებში ასევე შემუშავდა გზამკვლევები და სახელმძღვანელოები, მათ შორის:

1. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების კონცეფცია;
2. კვალიფიკაციების ჩარჩო მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის;
3. მოდულების შემუშავების სახელმძღვანელო მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის;
4. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვალიდაციის გზამკვლევი;
5. ვალიდაციის საბჭოს ინსტრუქციები მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის;
6. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვერიფიკაციის (შემოწმების) სახელმძღვანელო
 - a. ნაწილი „ა“;
 - b. ნაწილი „ბ“ დოკუმენტაცია;
7. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დამტკიცების გზამკვლევი;

8. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო მასალების მომზადების გზამკვლევი;
9. სტუდენტის სასწავლო მასალების ნიმუში „მარკეტინგის შესავალი“;
10. მასწავლებლის გზამკვლევის ნიმუში „მარკეტინგის შესავალი“;
11. სტუდენტთა შეფასების სახელმძღვანელო მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის;
12. თვითშეფასების სახელმძღვანელო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დანესებულებებისათვის.

ყველა გზამკვლევი და დამატებითი მასალა (მაგალითად, ტრენინგების პაკეტი) შეგიძლიათ ასევე იხილოთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე:

WEB Address: www.eqe.ge

პროექტის გუნდი



სარჩევი

წინასიტყვაობა.....	3
1. შესავალი.....	6
2. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება: შესავალი.....	8
3. მასწავლებლის და სტუდენტის როლი.....	9
4. დაგეგმვა.....	12
4.1 მუშაობის სქემის შედგენა: გზამკვლევი.....	12
4.2 გაკვეთილის გეგმის შედგენა: გზამკვლევი.....	13
5. სასწავლო მასალების გაცნობა.....	15
5.1 რას გულისხმობს სასწავლო მასალები?.....	15
5.2 რატომ უნდა გამოვიყენოთ სასწავლო მასალები?.....	15
5.3 სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო მასალების შედგენა.....	21
5.4 სასწავლო მასალები და ენა.....	22
5.5 კონტექსტუალიზებული სწავლება.....	23
5.6 სასწავლო მასალები და მოტივაცია.....	24
5.7 სასწავლო მასალები და დრო.....	24
6. სტუდენტის საქმიანობების ტიპები.....	25
7. სასწავლო მასალების ტიპები.....	26
7.1 რის მიხედვით ვირჩევთ სასწავლო მასალებს?.....	27
7.2 სტუდენტების სწავლის სტილი.....	30
8. ვიზუალური სასწავლო მასალები.....	32
8.1 POWERPOINT-ის პრეზენტაციები.....	32
8.2 დამხმარე მასალები (ჰენდაუტები) / საინფორმაციო ფურცლები.....	33
8.3 სამუშაო ფურცლები / სამუშაო ბარათები.....	34
8.4 პოსტერები / სურათები / გამოსახულებები.....	34
8.5 დაფები და ფლიპჩარტები.....	35
9. აუდიო და აუდიოვიზუალური სასწავლო მასალები.....	37
9.1 აუდიო სასწავლო მასალები.....	37
10. კინესთეტიკური მასალები.....	40
10.1 სიტუაციური ამოცანების გზამკვლევი.....	42
დანართი 1: მუშაობის სქემის ნიმუში.....	44
დანართი 2: გაკვეთილის გეგმის ნიმუში.....	49
დანართი 3: ტექსტზე დაფუძნებული სასწავლო მასალების შეფასების ჩამონათვალი.....	52

1. შესავადი



ამ სახელმძღვანელოს მიზანია, დაეხმაროს მასწავლებლებს და კერძოდ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოუშავე ჯგუფებს მუშაობის სქემების, გაკვეთილების გეგმებისა და სასწავლო მასალების მომზადებაში, ახალი, სტუდენტზე ორიენტირებული, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად.

მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუსავებისა და დანერგვის ხელშეწყობის მიზნით შემდეგი მასალები მომზადდა:

1. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების კონცეფცია;
2. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დამტკიცების გზამკვლევი;
3. სტუდენტთა შეფასების სახელმძღვანელო მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის;
4. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვალიდაციის გზამკვლევი;
5. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვერიფიკაციის (შემოწმების) სახელმძღვანელო;
6. სტუდენტის სასწავლო მასალების ნიმუში „მარკეტინგის შესავალი“;
7. მასწავლებლის გზამკვლევის ნიმუში „მარკეტინგის შესავალი“
8. მოდულების შემუშავების სახელმძღვანელო მოდულური საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
9. მოდულური პროგრამების ჩარჩო დოკუმენტი;
10. ვალიდაციის საბჭოს ინსტრუქციები მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის;

სასწავლო მასალების მომზადების გზამკვლევი წარმოადგენს დამხმარე დოკუმენტს და ხელს უწყობს ქართული მოდულური პროფესიული განათლების სისტემისთვის სასწავლო მასალების მომზადებას. გზამკვლევის შინაარსი არ წარმოადგენს დირექტივას და არ არის ამომწურავი. მას შეგიძლიათ დაამატოთ სხვა მასალა, რომელიც ფიქრობთ, რომ თქვენს კოლეგებს გამოადგებათ. უნარების განვითარების თვალსაზრისით ასევე მიზანშეწონილია სასწავლო მასალებზე მომუშავე კადრების შესაძლებლობების გაძლიერება.

გზამკვლევაში გამოყენებულია ორი სიმბოლო, რომელიც დაგეხმარებათ სხვადასხვა სახის მასალების იდენტიფიცირებაში:

	<p>ნიშნავს აქტივობას, რომელიც უნდა შეასრულოთ.</p>
	<p>აღნიშნავს საკითხავ მასალას, რომლის მიზანია ინფორმაციით მიწოდება.</p>

გზამკვლევის წაკითხვის შემდეგ თქვენ:

- გეცოდინებათ, როგორ უნდა შექმნათ მუშაობის სქემა და გაკვეთილის გეგმა;
- შეძლებთ გამოადიფერენციროთ სხვადასხვა ტიპის სასწავლო მასალები;
- გეცოდინებათ, როგორ აირჩიოთ სასწავლო მასალები კონკრეტული მიზნის შესაბამისად;
- შეძლებთ შექმნათ სასწავლო მასალების კომპლექტი;
- გეცოდინებათ, თუ როდის უნდა გამოიყენოთ სასწავლო მასალები;
- გეცოდინებათ, თუ როგორ შეაფასოთ თქვენი სასწავლო მასალების ეფექტურობა.

2. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება: შესავალი

როგორ ფიქრობთ, რას ვგულისხმობთ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებაში?

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება გულისხმობს სტუდენტების ჩართვას სასწავლო პროცესში, სწავლების შინაარსის დაგეგმასა და შეფასებაში, მათი მონაწილეობის, მათთან კონსულტაციისა და მოლაპარაკების გზით. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას სტუდენტების საჭროებებს და ამ საჭიროებების დაკმაყოფილებას ანიჭებს.

საქართველოს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები სწორედ ამ პრინციპის საფუძველზე უნდა შემუშავდეს, მოიცავდეს შესაბამის მიდგომებსა და კონსულტაციებს, უკუკავშირსა და აქტიური სწავლის სტილს.

სტუდენტებმა უნდა იცოდნენ, თუ რას და როგორ ისწავლიან პროგრამის ფარგლებში, რა პასუხისმგებლობა ეკისრება საგანმანათლებლო დაწესებულებას და რა ევალუბათ მათ, როგორც სტუდენტებს.

ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სამი ძირითადი პრინციპის საშუალებით:

მონაწილეობა: სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის გასაცნობიერებლად წარმოდგინეთ საკუთარი თავი სტუდენტის ადგილზე. თქვენ რა სურვილი გექნებოდათ პროგრამასთან დაკავშირებით? აქტიური სწავლებასა და პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას ბევრი უპირატესობა აქვს. მოამზადეთ ისეთი სასწავლო მასალები, რომლებიც ამაგვარ სწავლებას შეუწყობს ხელს.

კონსულტაცია: რა ინფორმაცია უნდა მიიღოთ სტუდენტებისაგან, რომ სწავლების პროცესი უფრო ეფექტური გახდეს? სტუდენტებთან კონსულტაცია მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ აამაღლოთ მათი თვითშეფასება, გამოავლინოთ მათთვის სასურველი სწავლის სტილი, მათი ინტერესები და მისწრაფებები. ამ ყოველივემ შეიძლება გავლენა იქონიოს სწავლების კონკრეტულ მიზანზე, სასწავლო მასალების შერჩევაზე და თავად სწავლებაზე.

მოლაპარაკება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას მოლაპარაკების სიხშირე განსაკუთრებით ადრეულ ეტაპზე, დაბალია, თუმცა ის უფრო ინტენსიური უნდა გახდეს. მოლაპარაკებამ შეიძლება რამოდენიმე ფორმა მიიღოს. მაგალითად: მოლაპარაკება სტუდენტისათვის სასურველი სწავლის სტილის შესახებ; დამატებითი მხარდაჭერა; როდის უნდა ჩატარდეს განმავითარებელი და შემაჯამებელი შეფასება (როდის იქნება ეს მისაღები) და ა.შ.

3. მასწავლებლის და სტუდენტის როლი

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება მასწავლებლისა და სტუდენტების ფუნქციებს გარკვეულწილად ცვლის. ახალი პროგრამების მიზნების მისაღწევად საჭიროა სწავლის და სწავლების სტილის მოდიფიცირება.



მასწავლებლის შემთხვევაში აქცენტის გადანაცვლება ხდება „სწავლებიდან/ მართვიდან“, „ფასილიტაციაზე“.

ეფექტური სწავლისას სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ იურთიერთონ მასწავლებელთან და ერთმანეთთან; მათი მხოლოდ პასიური მოსმენა და კომენტარების გაკეთება არ ევალებათ, ანდა ფორმალური წერითი გამოცდის ჩაბარება. არსებობს მოლოდინი, რომ სტუდენტები უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საკუთარ სწავლას; გამოიჩინენ ინიციატივას და განავითარებენ კომუნიკაციის, მათემატიკურ, საინფორმაციო ტექნოლოგიების, პიროვნულ და ინტერპერსონალურ, სამეწარმეო, უცხო ენების, ასევე ტექნიკურ და პროფესიულ უნარებს. სტუდენტები მუდმივად მიიღებენ უკუკავშირს სწავლის პროცესის შესახებ სასწავლო პროცესთან ინტეგრირებული, ღია და გამჭვირვალე მეთოდებისა და განმავითარებელი და შემაჯამებელი შეფასების საშუალებით. ფოკუსი გადადის „სწავლებიდან“ „სწავლაზე“ და მასწავლებლის ცოდნიდან სტუდენტის გამოცდილებაზე. ეს არის სწავლის უმნიშვნელოვანესი მომენტი.

ამ პროცესში მეტი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებელს, როგორც სწავლების ორგანიზატორს ან ფასილიტატორს. სასწავლო მასალებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რადგან ისინი არ წარმოადგენენ მხოლოდ სასწავლო ჩანაწერებს. მართლაც, სასწავლო მასალებმა ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტების მაქსიმალურად დამოუკიდებელ მუშაობას სასწავლო ოთახის გარეთ. გაკვეთილზე კი, სასწავლო მასალებმა ხელი უნდა შეწყონ მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში ჩართულობას ჯგუფებს, წყვილებს და ჯგუფებს შორის ურთიერთობის საშუალებით.

ცხადია, ამ განსხვავებული მიდგომების დანერგვა სწავლებისა და სწავლის მიმართ მარტივი არ არის. ამ მიდგომების თეორიული საფუძველი კონსტრუქტივიზმის სწავლის თეორიებშია. კონსტრუქტივიზმის მომხრეებმა გაითვალისწინეს ორი, გარკვეულწილად განსხვავებული პერსპექტივა, მაგრამ მიაღწიეს მსგავს დასკვნებს. პიაჟეს კოგნიტური (შემეცნებითი) კონსტრუქტივიზმის ფორმა აღიქვამს სწავლას, როგორც არსებითად *ინტენსიურ* გამოცდილებას, როდესაც სტუდენტი ცდილობს გაიაზროს ახალი გამოცდილებები და უკავშირებს მათ არსებულ ცოდნას იმისთვის, რომ, როგორც ამას პიაჟე აღწერს, მიაღწიოს შემეცნებით *წონასწორობას*. ვიგოტსკის სოციალური კონსტრუქტივიზმის მიხედვით სწავლა ხდება „განვითარების უახლოეს ზონაში“ - წარმოსახვით მხარეში, სადაც სტუდენტის არსებული ცოდნა და გამოცდილება ემთხვევა „ექსპერტის“ ცოდნასა და გამოცდილებას. „ექსპერტის“ როლი მდგომარეობს სასწავლო პროცესში სტუდენტის ხელმძღვანელობასა და მხარდაჭერაში – *საფუძვლის შექმნა* რაც ხელს შეუწყობს სტუდენტს შეასრულოს ამოცანა, რომელიც სხვა შემთხვევაში მეტნაკლებად მისი შესაძლებლობების მიღმა იქნებოდა. ვიგოტსკისთვის სწავლა ძირითადად სოციალური მოქმედებაა, რომელიც მოიცავს ურთიერთობას სხვა მოსწავლეებთან და/ან „ექსპერტებთან“. სტუდენტმა თავად უნდა განივითაროს გაცნობიერების უნარი.

ორივე კონსტრუქტივისტი (და კიდევ ბევრი სხვა) იზიარებს მსგავს შეხედულებას ეპისტემოლოგიის – ცოდნის ბუნების – შესახებ! მათი სწავლის თეორიები ლინდა ჰაგარმა შემდეგნაირად შეაჯამა და შეაჯერა:

კონსტრუქტივიზმი ...

- ხაზს უსვამს სწავლას და არა სწავლებას;
- ხელს უწყობს და აღიარებს სტუდენტის ავტონომიას და ინიციატივას;
- ხაზს უსვამს სტუდენტებს ნებას და მიზანს;
- აღიქვამს სწავლას, როგორც პროცესს;
- წაახალისებს შეკითხვებს სტუდენტის მხრიდან;
- აღიარებს გამოცდილების გადამწყვეტ როლს სწავლაში;
- ხელს უწყობს სტუდენტის ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას;
- ითვალისწინებს სტუდენტის გონებრივ მოდელს;
- სწავლების შეფასებისას ხაზს უსვამს შესრულებას და გაცნობიერებას;
- ეფუძნება კოგნიტური/შემეცნებითი თეორიის პრინციპებს;
- ფართოდ იყენებს ისეთ შემეცნებით ტერმინოლოგიას, როგორც არის პროგნოზი, შექმნა და ანალიზი;
- ითვალისწინებს იმას, თუ როგორ სწავლობს სტუდენტი;
- ხელს უწყობს სტუდენტის დიალოგს სხვა სტუდენტებთან და მასწავლებლებთან;
- ხელს უწყობს ერთობლივ სწავლას;
- რთავს სტუდენტებს რეალურ სიტუაციებში;
- ხაზს უსვამს იმ კონტექსტს, რომლის ფარგლებშიც ხდება სწავლა;
- ითვალისწინებს მოსწავლეების შეხედულებებსა და დამოკიდებულებებს;
- ავთენტურ გამოცდილებებზე დაყრდნობით სტუდენტებს აძლევს ახალი ცოდნის განვითარების და გააზრების საშუალებას.

(ჰაგარ, ლ. რა არის კონსტრუქტივიზმი?)

ნოტაბენე: კონსტრუქტივიზმზე სხვა სტატიების მოსაძიებლად ინტერნეტის ნებისმიერი საძიებო სისტემის, უმჯობესია google.com-ის, საშუალებით მოიძიეთ „კონსტრუქტივიზმი“.

შესაბამისად, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების დროს, მასწავლებელი:

- ✓ მართავს და ხელმძღვანელობს სწავლებას;
- ✓ უკავშირებს სწავლებას პროფესიულ სფეროს;
- ✓ ამხნევეს სტუდენტებს;
- ✓ ანაწილებს სწავლის პასუხისმგებლობას სტუდენტებზე;
- ✓ აკეთებს სწავლის საჭიროებების დიაგნოსტიკას;
- ✓ ხელს უწყობს სტუდენტებს სწავლის პროცესში;
- ✓ ატარებს განმავითარებელ შეფასებას;
- ✓ უზრუნველყოფს უკუკავშირს;
- ✓ ეპყრობა სტუდენტებს ისე, როგორც ზრდასრულებს;
- ✓ არის მიუკერძოებელი;
- ✓ გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს სტუდენტების მზაობის გათვალისწინებით.

ხოლო სტუდენტი:

- ✓ არის დაინტერესებული და მოტივირებული, რომ ისწავლოს;
 - ✓ იღებს პასუხისმგებლობას, რომ ისწავლოს;
 - ✓ გეგმავს საკუთარ სწავლას;
 - ✓ აკეთებს არჩევანს საკუთარი სწავლის გამოცდილების შესახებ;
 - ✓ პასუხს აგებს საკუთარ სწავლასა და ქცევაზე;
 - ✓ ითხოვს დახმარებას;
 - ✓ აქტიურობს სასწავლო პროცესის დროს;
 - ✓ პასუხისმგებლობით ეკიდება სასწავლო მონაცემების გამოყენებას;
 - ✓ აგროვებს საკუთარი სწავლის დამადასტურებელ მტკიცებულებებს;
 - ✓ სწავლობს სხვა სტუდენტებთან თანამშრომლობის საშუალებით;
 - ✓ თანატოლებს სთავაზობს დახმარებას;
 - ✓ იქცევა, როგორც მრდასრული;
 - ✓ აცნობიერებს საკუთარი და სხვების უსაფრთხოების მნიშვნელობას;
 - ✓ პატივს სცემს სხვა სტუდენტების საჭიროებებს;
 - ✓ აფასებს მასწავლებლებისა და თანატოლებისგან მიღებულ უკუკავშირს;
 - ✓ აკეთებს სწავლების ინტეგრაციას;
 - ✓ იაზრებს საკუთარი სწავლის შედეგებს;
 - ✓ მზადაა ისწავლოს ახალი მიდგომების გამოყენებით.
-

ეს ყოველივე უნდა გაითვალისწინოთ სასწავლო მასალების მომზადების დროს - მაგრამ - ნუ გამოიგონებთ ველოსიპედს თავიდან! შეაგროვეთ ის მასალები, რომლებიც უკვე გაქვთ. მაგალითად, სხვა მასალების ნაკრები, სასწავლო მასალები, აქტივობები, გაკვეთილის გეგმები, ა.შ. და გამოიყენეთ ეს მასალები შესაბამისად.

გაითვალისწინეთ:

- თქვენი გამოცდილება;
- მუშაობის არსებული სქემები;
- სტუდენტების შესაძლებლობები;
- თქვენი დამხმარე მასალები (ე.წ. ჰენდაუთები);
- კომერციული ან სამეწარმეო რესურსები;
- სასწავლო ოთახში ჩასატარებელი სავარჯიშოები და აქტივობები;
- ქეისები;
- სწავლების პროცესში გაკეთებული ჩანიშვნები;
- ამონარიდები ტექსტებიდან;
- ადრე მომზადებული სამუშაო ფურცლები;
- არსებული პროექტები;
-

შეამოწმეთ, თუ არის შესაძლებელი ჩამოთვლილთაგან რომელიმეს გამოყენება ან უმნიშვნელოდ შეცვლა, სწავლის შედეგებისა და შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად.

4. დაგეგმვა



თუ თქვენ უკვე სწავლების გამოცდილება გაქვთ, მაშინ დაგეგმვა თქვენთვის არ იქნება სიახლე. მასწავლებელს ევალება სწავლების პროცესის იმდაგვარად დაგეგმვა, რომ პროგრამის გავლა შესაძლებელი იყოს დათვალისწინებული დროში. ახალ, მოდულურ პროფესიული განათლების სისტემაში დრო თითოეული მოდულისთვის შეზღუდულია. ამიტომ, მნიშვნელოვანია დაგეგმვა და რეკომენდებულია ყოველი მოდულის დასაგეგმად ორი დოკუმენტის შედგენა:

1. სწავლის, სწავლებისა და შეფასების გეგმა (ხანდახან მას უწოდებენ მუშაობის სქემას) სრული მოდულის სასწავლებლად;
2. გაკვეთილის გეგმა;

აქ მოცემულია რამოდენიმე მითითება, რომელიც შეგიძლიათ გაითვალისწინოთ სწავლების, შეფასებისა და გაკვეთილის გეგმის შემუშავებისას:

- გახსოვდეთ, რომ მოდულების უმეტესობის ხანგრძლივობა არის 40 საათი, მაგრამ ზოგიერთი მოდული არის ორ კრედიტიანი - 80 საათი;
- ცხრილი დაყოფილია რამოდენიმე მწკრივად. თითოეული მწკრივი შეესაბამება გაკვეთილს. გაკვეთილი შეიძლება მოიცავდეს ერთ საათიან დისკუსიას ან ხუთ საათიან გამეორებას და პრაქტიკას;
- ერთ კრედიტიანი მოდულისთვის ჯამში ყველა გაკვეთილმა უნდა შეადგინოს 40 საათი;
- ყველა შესრულების კრიტერიუმი, შეფასებების ჩათვლით, უნდა მოესწროს მოთხოვნილ დროში;
- თემა შეიძლება იყოს სწავლის შედეგი, შესრულების კრიტერიუმი ან თუნდაც კონკრეტული აიტემი.
- გახსოვდეთ, თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ არსებული ან თქვენს მიერ შექმნილი რესურსები;
- კომენტარები ძალიან მნიშვნელოვანია და მათი საშუალებით შესაძლებელია სასარგებლო რჩევის მიღება სწავლების მეთოდებთან, რესურსების განლაგებასთან, შეფასების სტრატეგიებთან და დამატებით რესურსებთან დაკავშირებით.

შემდეგ გვერდებზე თქვენ იხილავთ რეკომენდაციებს თუ როგორ განავითაროთ ამ დაგეგმვისთვის საჭირო დოკუმენტები. დანართებში 1 და 2 კი წარმოდგენილია თითოეულის მაგალითი.

4.1 მუშაობის სქემის შედგენა: გზამკვლევი

მუშაობის სქემა არის საშუალო ვადაში განსახორციელებელი გეგმა; ის გამოიყენება სწავლებისა და სწავლის ძირითადი ამოცანების შესარჩევად, რომლებიც მოდულში იქნება გამოყენებული. მუშაობის სქემა განსაზღვრავს ამ ამოცანების შესრულებისთვის საჭირო დროს და სწავლა-სწავლების მეთოდებს. მუშაობის სქემა არის სანყისი გეგმა და მისი ზედმინუნით შესრულება სავალდებულო არ არის. თუმცა, ის გზამკვლევის ფუნქციას ასრულებს და გეხმარებათ გადაანალიზოთ სწავლა და სწავლება წელიწადის განმავლობაში ისე, რომ არ გამოტოვოთ მნიშვნელოვანი საკითხები ან არ მოგინოთ სიჩქარეში მათი წლის ბოლოს ჩასმა.

1. მოდულის ჩარჩოზე დაყრდნობით გამოავლინეთ სწავლისა და სწავლების ძირითადი ამოცანები, რომლებმაც უნდა მოიცვან სწავლის შედეგის შესრულების ყველა კრიტერიუმი, მტკიცებულებების მოთხოვნები და კომპეტენციების პარამეტრების დიაპაზონი.

2. ეს ამოცანები დაალაგეთ ლოგიკური თანმიმდევრობით.
3. განსაზღვრეთ, თუ როდის და რა სახის განმავითარებელი შეფასება უნდა ჩატარდეს.
4. „შეფასების ინსტრუმენტების ბანკიდან“ გამომდინარე დაგეგმეთ, თუ როდის ჩატარდება შემაჯამებელი შეფასება და რამდენი დრო დასჭირდება მის ინსტრუმენტებს. (თუ არ გაქვთ ასეთი ინსტრუმენტები, გაითვალისწინეთ, რომ ზოგადად, 1 სწავლის შედეგისათვის გამოიყენება ერთი ინსტრუმენტი).
5. განსაზღვრეთ (მიახლოებით), რა დრო იქნება საჭირო თითოეული ამოცანისთვის და გამოყავით გაკვეთილების სწორი რაოდენობა.
6. როდესაც დაასრულებთ სქემის მონახაზს, დაიწყეთ გაკვეთილების/სესიების დაგეგმვა. გამოყავით გაკვეთილების/სესიების საჭირო რაოდენობა და მათ შორის გაითვალისწინეთ დრო განმავითარებელი და შემაჯამებელი შეფასებისთვის.
7. შეარჩიეთ სასწავლო მასალები, რომელთა გამოყენებასაც შეძლებთ თითოეულ გაკვეთილზე.
8. გააცანით ეს ინფორმაცია თქვენს კოლეგებს, საგანმანათლებლო პროგრამაზე მომუშავე ჯგუფის სხვა წევრებს ან თქვენს უშუალო ხელმძღვანელს, რომ ყველამ იცოდეს, თუ როდის ჩატარდება შეფასება. მასალების ასლი ასევე გამოადგებათ სტუდენტებს ინფორმაციის მისაწოდებლად. მოათავსეთ ასლები თქვენი პროგრამის ფაილში და შენიშვნების დაფაზე.

4.2 გაკვეთილის გეგმის შედგენა: გზამკვლევი

ქვემოთ მოცემულია მარტივი სახელმძღვანელო, რომელიც დაგეხმარებათ გაკვეთილის გეგმის შედგენაში.

ყურადღებით მიჰყევით ყველა ნაბიჯს და ეცადეთ შეადგინოთ გაკვეთილის გეგმა ყოველი მოდულისთვის, რომელსაც თქვენ ასწავლით. ნიმუში შეგიძლიათ იხილოთ დანართში 2. იმუშავეთ თქვენ საგანმანათლებლო პროგრამაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ან, თუ შესაძლებელია, სხვა ადამიანებთან ერთად, რომლებიც მოდვანეობენ სწავლების იმავე სფეროში.

1. შეხედეთ მუშაობის სქემას და გადანყვიტეთ, რომელი გაკვეთილის/სესიის ჩასატარებლად ხართ მზად.
2. დაუბრუნდით მოდულის ჩარჩოს და განსაზღვრეთ სწავლის შედეგები და შესრულების კრიტერიუმები, სფერო, რომელსაც მოიცავს თქვენი გაკვეთილი და ჩაწერეთ გაკვეთილის გეგმის შესაბამის ნაწილში.
განსაზღვრეთ, რომელი პროფესიული სფერო იქნება გამოყენებული ამ გაკვეთილზე და პროფესიული კონტექსტი თქვენი გაკვეთილის გეგმაში გაითვალისწინეთ. ყველა თქვენი მასალა გაითვალისწინებს ამ კონტექსტს.
3. გაითვალისწინეთ შემდეგი: თქვენი გაკვეთილის გეგმა უნდა იყოს იმდენად დეტალური, რომ თქვენი არყოფნის შემთხვევაში სხვა პიროვნებას შეეძლოს თქვენი გაკვეთილის ჩატარება ზუსტად ისე, როგორც თქვენ ჩაატარებდით.
4. გადანყვიტეთ, თუ რა მიდგომას გამოიყენებთ გაკვეთილის გასაცნობად. გაითვალისწინეთ შემდეგი:
 - როგორ მოახერხებთ თქვენი სტუდენტების მოტივირებას?
 - როგორ გაიგებთ, თუ რა ცოდნა აქვთ სტუდენტებს?
 - განსაზღვრეთ გაკვეთილის მიზნები;
 - განმარტეთ გაკვეთილის მსვლელობის პროცედურა;
 - გააცანით სტუდენტებს ახალი ტერმინოლოგია და კონცეფციები, რომელიც მათ უნდა აითვისონ გაკვეთილის ბოლოსთვის;

- რა სასწავლო მასალები დაგჭირდებათ?
 - დაახლოებით რამდენ ხანს გაგრძელდება გაკვეთილის ეს ნაწილი? გაკვეთილზე, რომელიც საათნახევარს გრძელდება, გაცნობითი ნაწილი მთლიანად დაახლოებით 20 წუთს უნდა გაგრძელდეს.
5. ეტაპობრივად განსაზღვრეთ, თუ როგორ ჩაატარებთ გაკვეთილს. გაითვალისწინეთ შემდეგი:
- რა აქტივობებს განახორციელებენ სტუდენტები სწავლის შედეგებისა და შესრულების კრიტერიუმების მისაღწევად;
 - რა აქტივობებს განახორციელებთ თქვენ, რომ დაეხმაროთ სტუდენტებს სწავლის შედეგებისა და შესრულების კრიტერიუმების მიღწევაში;
 - რა სასწავლო მასალები დაგჭირდებათ იმისთვის, რომ მიაღწიოთ თქვენს მიერ განსაზღვრულ შედეგებს;
 - დაახლოებით რა დრო იქნება საჭირო თითოეული აქტივობის განსახორციელებლად;
 - ერთი დამატებითი აქტივობის დაგეგმვა იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ადრე დაასრულებენ სამუშაოს ან საჭიროებენ გახანგრძლივებულ მუშაობას.
6. გადანწყვიტეთ, რა დრო დაგჭირდებათ, რომ მიმოიხილოთ და დაასრულოთ გაკვეთილი. გაითვალისწინეთ შემდეგი:
- როგორ აპირებთ იმის შეჯამებას, რაც უკვე გააკეთეთ?
 - როგორ გაიგებთ, თუ რა ისწავლეს სტუდენტებმა?
 - გჭირდებათ დავალების განსაზღვრა?
 - როგორ შეიძლება მოამზადოთ სტუდენტები შემდეგი გაკვეთილისთვის?
 - რა აქტივობებს განახორციელებენ სტუდენტები?
 - რა სასწავლო მასალები დაგჭირდებათ?
 - რა დრო დაგჭირდებათ თითოეული აქტივობის მიმოხილვისათვის? (დაახლოებით 20 წუთი, საათნახევრიან გაკვეთილზე).

გახსოვდეთ: პრაქტიკასთან ერთად უფრო გაგიაღვივლებათ გაკვეთილების გეგმების შედგენა!

5. სასწავლო მასალების გაცნობა



5.1 რას გულისხმობს სასწავლო მასალები?

- სასწავლო მასალები, გარკვეულწილად, ხელს უწყობს კონკრეტული თემის სწავლებას და სწავლას.
- სასწავლო მასალები ძალიან კონკრეტულია და გამოიყენება გაკვეთილის მხოლოდ მცირე ნაწილის სწავლების/სწავლის დროს.
- როგორც წესი, სასწავლო მასალებს ავითარებს, აკონტროლებს და ადმინისტრირებას უწევს მასწავლებელი.
- არსებობს სხვადასხვა ფორმის სასწავლო მასალები და მათი მიზანია სწავლის შედეგის ან მისი ნაწილის მიღწევა.
- სასწავლო მასალები შექმნილია სტუდენტების სწავლის სტილის შესაბამისად.

5.2 რატომ უნდა გამოვიყენოთ სასწავლო მასალები?

შესაძლოა, ეს კითხვა აზრს მოკლებული გეჩვენოთ - როგორ შევძლებდით სწავლებას სასწავლო მასალების გარეშე? მაგრამ სასწავლო მასალების გამოყენების ყველა მიზეზის გათვალისწინება სასწავლო მასალების მომზადებასა და გაუმჯობესებაში დაგეხმარებათ.

სასწავლო მასალების გამოყენების ძრითადი მიზეზია:

- ინფორმაციის გადაცემა;
- სწავლის შემოწმება;
- უნარების პრაქტიკაში გამოყენება;
- ცნებების, ცოდნის და გაცნობიერების გამტკიცება;
- სტუდენტებში მოტივაციის და ინტერესის აღძვრა;
- სწავლების და სწავლის პროცესში მრავალფეროვნების შეტანა;
- მეტი საკომუნიკაციო არხების გამოყენება;
- სწავლის ეფექტურობის გაუმჯობესება;
- მასწავლებლის საუბრის შევსება და კომუნიკაციასთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევა.

სცადეთ შემდეგი აქტივობა ერთ ან რამოდენიმე კოლეგასთან ერთად და ნახეთ, თუ როგორ შეასრულებენ ისინი ამ აქტივობას. სიტუაციის განმუხტვის მიზნით თქვენ ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ეს სავარჯიშო სტუდენტებთან.



დაარიგეთ A4 ფორმატის ფურცლები.

სიტყვიერად ახსენით, როგორ კეთდება ქალაქის თვითმფრინავები. ამ ეტაპზე ნუ უჩვენებთ მათ გეგმას.


1. ყველამ გააკეთა თვითმფრინავი თქვენი გეგმის მიხედვით? თუ მათ ვერ გააკეთეს თვითმფრინავები, გაარკვიეთ, რა იყო ამის მიზეზი.
2. დაარიგეთ ფურცლები ხელახლა და მიეცით მათ საშუალება კიდევ ერთხელ სცადონ ქალაქის თვითმფრინავების გაკეთება.
3. ამჯერად უკეთესად გამოვიდა? განიხილეთ ყველა პრობლემა, რაც მათ შეხვდათ.

4. საბოლოოდ, ფურცლების გამოყენებით გააკეთეთ იმის დემონსტრირება, თუ რა არის საჭირო ქაღალდის თვითმფრინავის გასაკეთებლად.
5. განიხილეთ, რომელი მიდგომა არის ყველაზე ეფექტური და რატომ.


როგორ გავაკეთოთ ქაღალდის თვითმფრინავი

ყურადღებით გაცანით ქაღალდის თვითმფრინავის გაკეთების ინსტრუქციას.


1. გადაკვეთთ დიაგონალზე ფურცელი და გააკეთეთ კვადრატი;



2. დარჩენილი მართკუთხედის ფურცლის დაახლოებით $\frac{3}{4}$ გადაკვეთთ. მოხიეთ ფურცელი ნაკვეცის გასწვრივ და გადადეთ გვერდზე მოგვიანებით გამოსაყენებლად;



3. აიღეთ თითქმის კვადრატული ფორმა და გადაკვეთთ საპირისპირო მიმართულებით ისე, რომ მიიღოთ X ფორმა;



4. შეაერთეთ ნაკვეცი და დაკვეთთ, რომ მიიღოთ სამკუთხედი;




5. ქვედა მარჯვენა კუთხე გადაკვეთთ ზედა წერტილის მიმართულებით;



6. ქვედა მარცხენა კუთხე გადაკვეთთ ზედა წერტილის მიმართულებით.




7. მარჯვენა სამკუთხედი გადაკვეთთ ძირიდან შუაში და შემდეგ წვერიდან ძირისკენ და კიდევ ერთხელ გადაასწორეთ.




8. გაიმეორეთ იგივე მოქმედება მარცხენა სამკუთხედისთვის.

9. თითის წვერით აიღეთ ორივე ნაკვეცი და გადაკვეთთ სამკუთხედის წვერისკენ.


10. გაიმეორეთ იგივე მოქმედება მარცხენა სამკუთხედისთვის.



11. გადაკვეთთ დარჩენილი მართკუთხედის ერთი ბოლო ისე, რომ მიიღოთ ისარი.



13. თვითმფრინავს მიუერთეთ კუდი და გადაკვეთთ წვერზე.



გაკვეთ ნახევარზე

სწავლების მიდგომის შეცვლისას, თუ მასწავლებელზე ორიენტირებული, ავტოკრატული სტილი იცვლება სტუდენტზე ორიენტირებული სტილით, ხოლო „დედუქციური“ მეთოდოლოგიები იცვლება „ინდუქციური“ მეთოდოლოგიებით, მაშინ აუცილებელია სწავლის ხელშეწყობა სხვადასხვა სასწავლო მასალების და საშუალებების გამოყენებით. ზოგიერთი მათგანის გამოყენება საჭირო იქნება უშუალოდ გაკვეთილის პროცესში; სხვა მასალების გამოყენება კი შესაძლებელი იქნება დამოუკიდებლად სწავლისას. ეს მასალები განსხვავებულად იქნება შედგენილი; დამოუკიდებელი სწავლებისთვის საჭირო სასწავლო მასალები უნდა იყოს „თვითმოდებელი“, რომ სტუდენტს საშუალება მიეცეს იმუშაოს დამოუკიდებლად ან ჯგუფში, მასწავლებლის ნაკლები ხელმძღვანელობით.



რომ განასხვაოთ „დედუქციური“ და „ინდუქციური“ სწავლების მიდგომები, განიხილეთ ქვემოთ მოცემული მაგალითები. ორივე გაკვეთილი უტარდება სტუდენტების ერთ ჯგუფს, ერთ პერიოდში, მაგრამ ორი სხვადასხვა ინსტრუქტორი იყენებს სწავლების ორ ძალიან განსხვავებულ მიდგომას. წაიკითხეთ მაგალითები, უპასუხეთ შეკითხვებს და შემდეგ განიხილეთ პასუხები თქვენს საგანმანათლებლო პროგრამაზე მომუშავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად.

ინსტრუქტორი ა (ი = ინსტრუქტორი; ს-ბი = სტუდენტები)



ი დილა მშვიდობისა სტუდენტებო. დღეს ჩვენ განვიხილავთ ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას სამუშაო ადგილზე. გასაგებია?

ს-ბი აშკარა ზოგადი თანხმობა

ი უბედური შემთხვევა შეიძლება გამოიწვიოს სამუშაო ადგილზე სამმა ძირითადმა მიზეზმა. პირველი უკავშირდება სამუშაო იარაღების არასწორად გამოყენებას. სამუშაო იარაღების გამოყენება უნდა მოხდეს გარკვეული წესების მიხედვით, რომელთაც კურსის განმავლობაში შეისწავლით. გაქვთ რაიმე შეკითხვა?

ს-ბი ამ ეტაპზე კითხვები არ არის

ი ნება მომეცით, მოვიყვანო სამუშაო იარაღების არასწორად გამოყენების მაგალითი - ავიღოთ სახრახნისი. სახრახნისი, ჩვეულებრივ, ძალიან უსაფრთხო იარაღია თუ მას სწორად შეარჩევთ. თუ თქვენ მუშაობთ ელექტროტექნიკაზე, უნდა დარწმუნდეთ, რომ სახრახნისის სახელური არის ელექტრონულად იზოლირებული, რეკომენდებული სტანდარტების შესაბამისად. ზოგიერთი უხარისხო პლასტიკური სახელურის მქონე სახრახნისი ატარებს მაღალ ძაბვას და შეიძლება მიიღოს საკმაოდ ძლიერი დარტყმა! მიგიღიათ როდესმე ელექტრული განმუხტვის დარტყმა?

ს-ბი დიახ ... ერთხელ, როდესაც ვცადე შემეცვალა ნათურა. გადმოვვარდი სკამიდან, რომელზეც ვიდექი და მაგიდას თავი დავარტყი.

ს1 და ამის შემდეგ შეიცვალეთ! (სტუდენტები იცინიან)

ი ვარგი ... შეიძლება მიიღოს კიდევ ერთი სახის დაზიანება, სახრახნისის გამოყენების დროს სახრახნისი აცდება ხრახნს. თუ მეორე ხელი სახრახნისის გასწვრივ გაქვთ, სახრახნისი ადვილად შეიძლება მოგხვდეთ ხელზე ან, უარეს შემთხვევაში, მაჯაზე. ასე რომ, მეორე ხელი ყოველთვის გქონდეთ სახრახნისის უკან ... აი ასე ...

ი ინსტრუქტორი ასახიერებს სიტუაციას ... ახლა, ვიდრე უბედური შემთხვევების გამომწვევ სხვა მიზეზებზე გადავიდოდეთ, თქვენ უნდა ჩაინიშნოთ ის, რასაც მე ვწერ დაფაზე
.....

ინსტრუქტორი ბ (ი = ინსტრუქტორი; ს1 = პირველი სტუდენტი, ა.შ.)

- ი დილა მშვიდობისა სტუდენტებო. ლიკა ... დღეს ორი სახვევი გიკეთია ხელზე. რა შეგემთხვა?
- ს1 ქანჩის გასაღების გამოყენებით ვცდილობდი მანქანის აკუმულატორის ტერმინალის მოჭერას, როდესაც ის აცდა ქანჩს და მოხდა მოკლე ჩართვა - დამწვა ნაპერწკალმა და აკუმულატორის სამაგრმა ხელზე ჭრილობა მომაყენა!
- ი ძალიან სამწუხაროა, ლიკა ... მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ შენ ისწავლე ამ უბედური შემთხვევის შედეგად, არა? რა შეიძლება ვისწავლოთ ამ მაგალითიდან? ... გიო?
- ს2 რომ მარტივი იარაღებიც კი ... როგორიც არის ქანჩის გასაღები ... შეიძლება სახიფათო იყოს, თუ მათ არასწორად გამოვიყენებთ.
- ი მართალია, გიო ... ნება მომეცით, მოვიყვანო კიდევ ერთი მაგალითი. მე აქ მაქვს სახრახნისი. წარმოიდგინეთ, რომ მე ვახრახნი ხრახნს აი ასე ... (ინსტრუქტორი აკეთებს დემონსტრირებას) ... და მეორე ხელი დავდე აქ ... (ინსტრუქტორი აკეთებს დემონსტრირებას) ... და სახრახნისი ასხლტა ... (ინსტრუქტორი აკეთებს დემონსტრირებას უსაფრთხოდ). რა მოხდება?
- ს3 ხელს დაიზიანებთ.
- ი რა თქმა უნდა ... როგორ შეიძლება თავიდან ავიცილო ეს? ... ლევან?
- ს4 ის ხელი, რომელშიც სახრახნისი არ გიჭირავთ ... უნდა გქონდეთ სახრახნისისგან მოშორებით ... მის უკან.
- ი კარგი ... ასე რომ, ახლა ჩვენ ვიცით, თუ როგორ შეიძლება თავიდან ავიცილოთ მარტივი უბედური შემთხვევა. კიდევ ბევრი სხვა უბედური შემთხვევა შეიძლება გამოიწვიოს სამუშაო იარაღების არასწორმა გამოყენებამ. მოდით, განვიხილოთ კიდევ სხვა სიტუაციები, რომლებიც შეიძლება უბედური შემთხვევით დასრულდეს. მერხებზე გაქვთ სურათები, რომლებზეც გამოხატულია სახელოსნო და რამოდენიმე სტუდენტი, რომლებიც იყენებენ სხვადასხვა სახის იარაღებს. ხუთი მათგანი იარაღებს სწორად იყენებს, ხუთი კი - არა ... ეს ხუთი სტუდენტი ზიანს მიაყენებს საკუთარ თავს. იმუშავებთ წყვილებში და გამოავლინეთ ის ხუთი სტუდენტი, რომელიც სწორად იყენებს სამუშაო იარაღებს და ის ხუთი - რომელიც არასწორად იყენებს მათ. შემდეგ, მოცემულ სივრცეში დაწერეთ ახსნა, თუ რას არ აკეთებენ ეს სტუდენტები სწორად. გაქვთ რაიმე შეკითხვა?

...

კითხვა ამონაწერის შესახებ - დაწერეთ ა ან ბ ქვემოთ მოცემული კითხვების საპასუხოდ:

რომელ ამონაწერში:

1. იყენებს ინსტრუქტორი დედუქციურ მიდგომას ანუ, აძლევს სტუდენტებს ინფორმაციას იმის ნაცვლად, რომ უხელმძღვანელოს მათ აღმოჩენის პროცესში?
2. ითხოვს ინსტრუქტორი, რომ სტუდენტებმა წამოაყენონ ჰიპოთეზა,?
3. მონაწილეობენ სტუდენტები უფრო აქტიურად სწავლებაში?
4. სვამს ინსტრუქტორი შეკითხვებს?
5. სვამს ინსტრუქტორი უფრო კომპლექსურ შეკითხვებს?
6. იწყებს ინსტრუქტორი გაკვეთილს სტუდენტის გამოცდილებებზე დაყრდნობით?
7. ევალუბათ სტუდენტებს, რომ იდეები საკუთარი სიტყვებით გამოხატონ?
8. იყენებს ინსტრუქტორი ვიზუალურ მასალებს ახსნის/დემონსტრაციის ხელშეწყობის მიზნით?

9. ხდება სტუდენტების წახალისება, რომ იმუშაონ ერთად?
10. სწავლობენ სტუდენტები სიღრმისეულად - ესმით საკითხი და არა მხოლოდ იმახსოვრებენ მასალას?
11. იყენებს ინსტრუქტორი სასწავლო მასალებს?
12. ეყრდნობა მიდგომა კონსტრუქტივიზმის სწავლის თეორიებს?

ახლა წაიკითხეთ შემდეგი სიტუაციური ამოცანები და შეავსეთ მოცემული სავარჯიშოები.



ამ აქტივობის მიზანია, რომ გაჩვენოთ სტუდენტზე და მასწავლებელზე ორიენტირებულ სწავლებებს შორის განსხვავება და გააცნობიეროთ, თუ რა საკითხების შესახებ შეიძლება მოხდეს მოლაპარაკება სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის.

სიტუაციური ამოცანა 1

ნანი არის ლექტორი, რომელმაც უნდა გააცნოს "ბიბლიოთეკის გამოყენება" მოსამზადებელი კურსის სტუდენტებს.

ნანის შეუძლია ბიბლიოთეკის/რესურს ცენტრის კატალოგების და ინდექსების გამოყენებას სამი საათი დაუთმოს.

ვინაიდან ის ჯგუფს საკმაოდ ვარგად იცნობს, ნანი იცის, რომ ჯგუფში სხვადასხვა შესაძლებლობების და ხასიათების მქონე სტუდენტები ჰყავს და შესაბამისად, ის გეგმავს გაკვეთილს, რომელიც მთელი კლასის საჭიროებებს შეესაბამება.

ნანიმ გადაწყვიტა, რომ ჯგუფისთვის ჩაატაროს გაცნობითი ლექცია, რომლის ფარგლებშიც ის ახსნის, თუ როგორ მუშაობს ბიბლიოთეკა და რა დანიშნულება აქვს სხვადასხვა ინდექსებს და კატალოგებს. საუბრის შემდეგ ის დაარიგებს დამხმარე დოკუმენტებს, რომლებშიც შეაჯამებულია ძირითადი პუნქტები.

ამასთან ერთად, ნანი თვლის, რომ ჯგუფმა უნდა იცოდეს, თუ სად არის ბიბლიოთეკა და მოგვიანებით ტურის ჩატარებას გეგმავს.

შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:

საკითხი	სტუდენტები	მასწავლებელი
ვინ იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ როგორ ისწავლიან სტუდენტები?		
ვინ აქტიურობს სამი საათის განმავლობაში?		
ვინ აწვდის სტუდენტებს საჭირო ფაქტებს/ინფორმაციას/მასალებს?		
როგორ იქნება განლაგებული მერხები და სკამები, რომლებზეც სტუდენტები ისხდებიან?		

არ განაგრძოთ კითხვა, სანამ ცხრილს არ შეავსებთ

სავარაუდოდ, თქვენ ოთხივე კითხვის გასწვრივ მონიშნეთ „მასწავლებელი“, ვინაიდან ამ გაკვეთილზე ფოკუსი მასწავლებელზეა და არა სტუდენტებზე, როგორც ეს სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის შემთხვევაში იქნებოდა.

მასწავლებელი წინასწარ წყვეტს, რომ ჩაუტარებს ლექციას მთლიან კლასს და არჩევანს არ უტოვებს სტუდენტებს, თუ რისი სწავლა სურთ მათ და როგორ. მასწავლებლის საუბრის განმავლობაში სტუდენტები სხედან პასიურად, ყველა მოქმედებას ახორციელებს მასწავლებელი და არა სტუდენტები. შედეგად, სტუდენტები თავად არ აკეთებენ აღმოჩენებს; ყველაფერი უკვე განსაზღვრულია, საკლასო ოთახში მერხები განლაგებულია ტრადიციულად, რიგებად. კლასის წინ მასწავლებლის მაგიდა დგას.

სინამდვილეში, ნანის გაკვეთილის სწავლის შედეგი არ არის „ბიბლიოთეკის გამოყენება“. ის სტუდენტებს ასწავლის ბიბლიოთეკის შესახებ. ჩვენი ვარაუდით, სტუდენტებს გაუჭირდებათ პრაქტიკის გარეშე, მხოლოდ ერთი ლექციის შემდეგ ბიბლიოთეკის გამოყენება.

სიტუაციური ამოცანა 2:

გიორგი სხვაგვარად უდგება იმავე სწავლის შედეგს.

გიორგი სამ საათიან გაკვეთილს იწყებს ვიდეო პრეზენტაციით „ბიბლიოთეკის გაცნობა“, რომელიც ბიბლიოთეკარმა სტუდენტების მცირე ჯგუფთან ერთად მოამზადა. ის აჩერებს ვიდეოს შესაფერის ადგილებზე, რომ მისცეს სტუდენტებს დისკუსიის საშუალება და თავად შეაფასოს რადენად ესმით სტუდენტებს მასალა ან რა წარსული გამოცდილება აქვთ მათ.

მას შემდეგ, რაც შეაფასა სტუდენტების ცოდნა და გააზრების დონე (დისკუსიის საფუძველზე), გიორგი ფიქრობს, რომ ყველა სტუდენტისთვის და განასაკუთრებით მათთვის, ვისაც სწავლისთვის მეტი დრო ესაჭიროება, სასარგებლო იქნება პრაქტიკული მუშაობა კატალოგებთან და ინდექსებთან ისეთ გარემოში, სადაც ისინი შეძლებენ თავისუფლად გადაადგილებას, ერთმანეთთან საუბარსა და კითხვების დასმას. შესაბამისად, ის აწყობს ბიბლიოთეკის სიმულაციას საკლასო ოთახში, რისთვისაც იყენებს ბიბლიოთეკის ძველ კატალოგებსა და ინდექს ბარათებს.

სტუდენტები თავად აკეთებენ არჩევანს, იმუშაონ წყვილებში თუ მცირე ჯგუფებში, და ირჩევენ სამუშაო ბარათებს ამოცანის შესასრულებლად.

ამ აქტივობის შემდეგ, სტუდენტები მზად არიან წავიდნენ ბიბლიოთეკაში დამოუკიდებლად და ახსოვთ, რომ ბიბლიოთეკაში უნდა იყოს სიჩუმე. შესაბამისად, ყველა სტუდენტს გიორგიმ დაურიგა ბიბლიოთეკის გეგმა და სამუშაო ფურცლები წიგნებისა და რესურსების მოსაძიებლად. ახლა სტუდენტებს ევალებათ მიაკითხონ ბიბლიოთეკას და დაასრულონ აქტივობა.

შემდეგ გაკვეთილზე სტუდენტები გააკეთებენ მოკლე პრეზენტაციას დანარჩენი ჯგუფისთვის, ფლიპჩარტების გამოყენებით.

ვიდრე გადაინაცვლებს შემდეგ სწავლის შედეგზე, გიორგი უსმენს სტუდენტების პრეზენტაციებს და წყვეტს, რომელ მათგანს ესაჭიროება დამატებითი დახმარება.

შეავსეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:

საკითხი	სტუდენტები	მასწავლებელი
ვინ იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ როგორ ისწავლიან სტუდენტები?		
ვინ აქტიურობს სამი საათის განმავლობაში?		
ვინ აწვდის სტუდენტებს საჭირო ფაქტებს/ინფორმაციას/მასალებს?		
როგორ იქნება განლაგებული მერხები და სკამები, რომლებზეც სტუდენტები ისხდებიან?		

არ განაგრძოთ კითხვა, სანამ ცხრილს არ შეავსებთ

სწავლის შედეგების გათვალისწინებით გიორგი იძლევა მაქსიმალურად დიდ არჩევანს. საკლასო ოთახში სიმულაციის დროს სტუდენტებმა აირჩიეს ამოცანების თემატიკა და ის პიროვნება, ვისთან ერთადაც უნდოდათ მუშაობა. ასევე, მათ თავად გადაწყვიტეს, თუ რა რაოდენობის ამოცანებს შეასრულებდნენ. ამდენად, ისინი სამუშაოს ასრულებენ მათთვის სასურველი ტემპით და იღებენ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლაზე. მასწავლებელს აქვს ფასილიტატორის ფუნქცია.

სტუდენტები ასევე იღებენ პასუხისმგებლობას შეაფასონ საკუთარი თავი ანკეტის გამოყენებით. სტუდენტებს ინფორმაცია სხვადასხვა წყაროების საშუალებით მიეწოდებათ და მასწავლებელი არ აღიქმება ცოდნის ერთადერთ წყაროდ.

მასწავლებელს ყველაზე მეტი ძალისხმევა გაკვეთილის მომზადებისას დასჭირდა. გაკვეთილის განმავლობაში მასწავლებელი არ არის ვალდებული, რომ მუდმივად ისაუბროს; ის ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურობას და სწავლას.

5.3 სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო მასალების შედგენა



ბოლო მოცემულია ორი ძალიან განსხვავებული მიდგომის ილუსტრაცია; შეიძლება ვამთი იმის თაობაზე, რომ ინსტრუქტორ ა-ს ადვილად შეეძლო სასწავლო მასალების ნებისმიერ ეტაპზე გაცნობა. თუმცა, სავარაუდოდ, ეს სასწავლო მასალები აუცილებლად „სტუდენტზე ორიენტირებული“ არ იქნებოდა, ვინაიდან ინსტრუქტორის ხედვა არის „მასწავლებელზე ორიენტირებული“.

მაშ რა არის სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო მასალების მახასიათებლები?

სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო მასალებში გამოყენებულია ტექსტები ან სხვა საშუალებები და მათი დანიშნულებაა აქ ჩამოთვლილთაგან ერთი ან რამდენიმე მიზნის მიღწევა:

- სტუდენტის დამოუკიდებლობისა და ინიციატივის წახალისება (ანუ, ისეთი ამოცანები,

რომლებიც სტუდენტისგან მოითხოვს დამოუკიდებელ, ფასილიტატორის გარეშე მუშაობასა და გადანაცვლებების მიღებას იმის შესახებ, თუ როგორ მიუდგეს ამოცანას);

- სტუდენტებისთვის პროცესის გაცნობა და არა უბრალოდ შედეგზე ფოკუსირება (ანუ აქტივობები, რომლებიც მოითხოვს, რომ სტუდენტი მიჰყვეს სწავლის ეტაპებს იმისთვის, რომ მან მიაღწიოს მოსალოდნელ გრძელვადიან შედეგს – მნიშვნელოვანია ის პროცესი, რომელსაც სტუდენტი გადის);
- სტუდენტების წახალისება, რომ განსაზღვრონ და შეამოწმონ ჰიპოთეზები (მაგ. რა მოხდება, თუ ...?);
- ეფუძნება სტუდენტის გამოცდილებას და უბრუნდება ამ გამოცდილებას მაგალითების და/ან ანალოგიების საშუალებით, რომლებიც ხელს უწყობენ გაცნობიერებას (მაგ. როდესაც მუშაობდით მამათქვენის ავტოფარეხში ...);
- სტუდენტების ბუნებრივი ცნობისმოყვარეობისა და ინტერესის გაზრდა, ზოგადად ან მის პროფესიულ სფეროში (მაგ. ოდესმე თუ დაინტერესებულხართ, რატომ იცვლება გზაზე მომავალი მანქანის ხმის მაღალი ტონალობა დაბალი ტონალობით იმ მომენტში, როდესაც ის თქვენ ჩაგივლით?);
- ისეთი სიტუაციების მოწყობა, სადაც სტუდენტმა უნდა გადაჭრას პრობლემა მისთვის ხელმისაწვდომი ცოდნისა და უნარების გამოყენებით (მაგ. გააკეთეთ მონახაზი და ორ მმ-იანი ალუმინის ფურცლის გამოყენებით დაამზადეთ ყუთი, რომლის სახურავი მიმაგრებული იქნება ანჯამებით);
- მოითხოვს, რომ სტუდენტებმა გააანალიზონ პროცესი ან პროდუქტი, რომ განსაზღვრონ, თუ რა ფაქტორებმა გამოიწვიეს კონკრეტული შედეგები (მაგ. ახსენით, თუ რა ნაბიჯები გაიარეთ, როდესაც იკვლევდით ...);
- მოითხოვს, რომ სტუდენტებმა გამოიყენონ ანალიზის შედეგები, რომ გამოასწორონ შემდგომი მოქმედება (მაგ. როგორ შეიძლება მომავალში ეს უკეთ გაკეთდეს?) - გამოცდილების გაანალიზება!;
- ხელს უწყობს სტუდენტებს სხვებთან მუშაობასა და აზრების გაზიარებაში (მაგ. პარტნიორთან ერთად მუშაობა, 10 გასათვალისწინებელი პუნქტის მოფიქრება, როდესაც ...);
- ხელს უწყობს სტუდენტებს იმუშაონ სხვებთან ერთად – როგორც ერთმა გუნდმა (მაგ. თქვენს ჯგუფში მოიძიეთ დიაგრამაში სამკუთხედების დათვლის საუკეთესო გზა);
- რეალური კონტექსტის შექმნა, სადაც განხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული აქტივობების (მაგ. თქვენ მუშაობთ მცირე კომპანიაში, სადაც რეკავს ტელეფონი ...) ან რეალური სამყაროს სიმულაცია ინტერაქტიული სიტუაციებით ან როლური თამაშებით (მაგ. სტუდენტების ყველა წყვილი განასახიერებს თანამშრომლებს, რომლებიც შეხვდნენ, რომ განიხილონ ანაზღაურების გაზრდის საკითხი);
- სტუდენტის რწმენის, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების გათვალისწინება და შესაბამისად, მათი დაკავშირება აქტივობებთან (მაგ. თქვენ გეკუთვნით მცირე კომპანია, სადაც მუშაობს ხუთი ადამიანი, ყველა მათგანი არის ქართველი – დაგეგმეთ შეხვედრა პროფ. კავშირის წარმომადგენელთან, რომ განიხილოთ უსამართლოდ თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევა).

5.4 სასწავლო მასალები და ენა

ბევრი კარგად მოფიქრებული სასწავლო მასალა ნაკლებად ეფექტური ხდება არასათანადო ან დამაბნეველი ენის გამო. სასწავლო მასალების ინსტრუქციები და ინფორმაცია ადვილად გასაგები უნდა იყოს სტუდენტისთვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ მასალები თვითმოძიებადია. ენის დონე - ლექსიკა და სტრუქტურა (ლექსიკა და სინტაქსი!) არ უნდა იყოს სტუდენტებისათვის რთული. ამდენად სასწავლო მასალები უნდა იყოს მარტივი, მოკლე, მაგრამ ზუსტი!

სასწავლო მასალებში ინსტრუქციებისთვის შეუფერებელი ენის გამოყენების მაგალითია:

„ოთხ ნევრიანი ჯგუფები კონსტრუქციულად ჩაერთონ ვერბალურ კომუნიკაციაში, რომ იპოვონ გამოსავალი ქვემოთ აღწერილი სიტუაციური ჩიხიდან.“

ეს ზედმეტად რთული ლექსიკა ადვილად შეიძლება გამარტივდეს:

“ოთხ ნევრიან ჯგუფში განიხილეთ ქვემოთ მოცემული პრობლემა და იპოვეთ გამოსავალი.”

ასევე, უნდა ვერიდოთ ორაზროვნებას (ბუნდოვანებას ან ორმაგ დატვირთვას). მაგალითად, ამ შემთხვევაში რა უნდა გააკეთოს სტუდენტმა?

1. აიღეთ 2 ლიტრიანი პლასტიკური კონტეინერი, რომელსაც მანამდე გარეცხავთ სუფთა წყლით.
2. წყალში დაამატეთ საკმარისი საღებავი, რომ შეავსოს ორი სუფრის კოვზი.
3. კარგად შეანჯღრიეთ და ამას რომ მორჩებით, დაახლოებით ორი წუთის შემდეგ უნდა შეერიოს საღებავი წყალს.

ასეთი ინსტრუქცია უფრო გასაგები (და ნაკლებად დამღლევი!) იქნებოდა:

1. აიღეთ სუფთა, ორ ლიტრიანი პლასტიკური კონტეინერი.
2. კონტეინერში დაამატეთ ორი სუფრის კოვზი საღებავი.
3. აავსეთ კონტეინერი სუფთა წყლით.
4. შეანჯღრიეთ კონტეინერი ორი წუთის განმავლობაში ან სანამ საღებავი და წყალი არ შეირევა.

ენასთან დაკავშირებული პრობლემების გამოსავლენად ძალიან კარგი გზაა კორექტორის საშუალებით შემოწმება, ვინაიდან სხვა თანამშრომელი შეამჩნევს იმას რაც ავტორს გამოორჩა. სთხოვეთ ვინმეს წაიკითხოს თქვენი ახალი მასალები და სცადეთ, რამდენიმე აქტივობის განხორციელება – თქვენც გეჩვენებთ საშუალება მოგვიანებით დაეხმაროთ კოლეგას, როგორც სასწავლო მასალებზე მომუშავე ჯგუფის წევრი.

5.5 კონტექსტუალიზებული სწავლება

სასწავლო მასალების მომზადების დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი საკითხი სწავლის გამოცდილებისთვის შესაბამის, რეალურ კონტექსტთან დაკავშირებაა. ეს შეიძლება საკმაოდ რთული აღმოჩნდეს. მაგალითად, როდესაც ამზადებთ სასწავლო მასალებს ინჟინრებისთვის მათემატიკური საკითხების შესახებ, ისაუბრეთ სამუშაოს მათემატიკურ ასპექტებზე. მაგალითად:

„თქვენ გევალებათ ინვენტარის კონტროლი მცირე ზომის საინჟინრო კომპანიაში. თქვენ გთხოვს დაამატოთ 15% დღე ყოველი ქვემოთ ჩამოთვლილი ინვენტარის ფასს.“

ამ გზით, სტუდენტებისთვის სწავლა ხდება უფრო მართებული და ღირებული, რაც ზრდის მათ მოტივაციას.

კონტექსტუალიზებულმა სწავლებამ შეიძლება შეიძინოს მეტი მნიშვნელობა, თუ სასწავლო მასალის განვითარება როლური თამაშის გამოყენებით მოხდება (სადაც თითოეული სტუდენტი ირგებს როლს და „როლში შესულ“ პასუხობს სიტუაციას, რომელიც არის რეალური სიტუაციის სიმულაცია – ძირითადი სამეწარმეო უნარების მოდულის შემთხვევაში ეს არის სამუშაო ადგილი). კარგად დაგეგმილი, ინტერაქტიული როლური თამაში ან სიმულაცია ყველა სტუდენტის ჩართულობის 100%-იან გარანტიას იძლევა, თუმცა გარკვეული დროა საჭირო მათი შემოქმედებითობის განვითარებისთვის. რეკომენდებულია როლური თამაშისა და სიმულაციის აქტიური გამოყენება საქართველოს მოდულური პროფესიული პროგრამების სწავლების პროცესში! (იხილეთ ნაწილი 7.8)

5.6 სასწავლო მასალები და მოტივაცია

თქვენ, როგორც ფასილიტატორს, შეგიძლიათ სტუდენტების მოტივაცია გაზარდოთ ვერბალური და არავერბალური ენის გამოყენებით, ვიზუალურად მასტიმულირებელი საგნებითა და პრაქტიკული ამოცანების საშუალებით. მასალების შინაარსი და მათში მოცემული აქტივობები, მასალების აგებულება ასევე ხელს უწყობს ინტერესის გაღვივებას. ამ მხრივ ძალიან გამოსადეგია კომპიუტერი! შესაფერისი სტილის და ზომის შრიფტების საშუალებით, ასევე დიაგრამებისა და სქემების გამოყენებით შეიძლება გაუმჯობესდეს ტექსტის აღქმა. ილუსტრაციები, ნახატები და ა.შ ასევე შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი იყოს, თუმცა, მათი შერჩევა ფრთხილად უნდა მოხდეს, რომ მათ განამტკიცონ და არ შეასუსტონ ტექსტი.

ტექსტი სასწავლო მასალებიდან:

„ეფექტური კომუნიკაცია აუცილებელია ოფისის ეფექტური ფუნქციონირებისთვის“.



შესაბამო გამოხატულება



უფრო შესაფერისი
გამოხატულება



ყველაზე შესაფერისი
გამოხატულება

თავი უნდა შეიკავოთ ნაცნობი ილუსტრაციების ზედმეტად გამოყენებისგან. სასურველია, მასწავლებელმა მოიძიოს სხვა წყაროები, მაგალითად კომპაქტ დისკები და/ან ინტერნეტი.

5.7 სასწავლო მასალები და დრო

სასწავლო მასალების შედგენას საკმაოდ დრო საჭიროდება. მას შემდეგ რაც მოხდება მასალების შერჩევა, გამოცდა, შეფასება და შესწორება, შესაძლებელი იქნება სასწავლო მასალების ბანკში შენახვა და მათი ხელახლა გამოყენება. თუმცა, ეს არ უნდა გამორიცხავდეს სხვა შემოქმედებითი მასალების განვითარებას, ვინაიდან პროგრამები, კონტექსტი და სტუდენტები იცვლებიან და ამ ცვლილებების საპასუხოდ უნდა ადაპტირდეს სასწავლო მასალებიც.

სასურველია, თუ სასწავლო მასალების შედგენისას მოხდება პასუხისმგებლობის გადანაწილება (მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ჯგუფების ჩამოყალიბებით) სპეციალისტებს შორის სფეროების, ინტერესისა და ექსპერტიზის მიხედვით. მნიშვნელოვანია ვადების განსაზღვრა და სპეციალისტებთან ჯგუფური შეხვედრების მოწყობა.

ჯგუფური მუშაობა ასევე მნიშვნელოვანია პრაქტიკაში გამოყენებული მასალების ეფექტურობის შეფასებისთვის.

6. სტუდენტის საქმიანობების ციკლი

სტუდენტზე ორიენტირებულმა აქტივობებმა შეიძლება ხელი შეუწყოს შემდეგი უნარების განვითარებას:



<ul style="list-style-type: none"> • ვერბალური კომუნიკაციის უნარები • მოსმენის უნარები • დაკვირვების უნარები • პრაქტიკული უნარები • აზროვნების უნარები • პრობლემის გადაჭრის უნარები • მოლაპარაკების უნარები 	<ul style="list-style-type: none"> • ორგანიზებულობა • ჯგუფური მუშაობის უნარები • ლიდერობის უნარები • ინფორმაციის მოპოვების უნარები • კვლევითი უნარები • ფიქრის საშუალებით თვითანალიზი
--	---

აქტივობა

ქვემოთ მოცემულია რამოდენიმე ტიპური, სტუდენტზე ორიენტირებული აქტივობა. შეისწავლეთ ისინი და გადაწყვიტეთ, თუ ზემოთ ჩამოთვლილთაგან სტუდენტის რომელი უნარების განვითარებას ემსახურება ისინი.



1. სტუდენტები მუშაობენ წყვილად - სტუდენტი 'ა' და სტუდენტი 'ბ'. სტუდენტ 'ა'-ს აქვს მარტივი გეომეტრიული სქემა, რომელსაც ის საიდუმლოდ შეისწავლის. მას ევალება ვერბალური ინსტრუქციები მიანოდოს სტუდენტ 'ბ'-ს, რომ მან შეძლოს დახაზოს ფურცელზე დიაგრამის ზუსტი ასლი.
2. სტუდენტები მუშაობენ ოთხ წევრიან ჯგუფებში - სტუდენტები 'ა', 'ბ', 'გ', 'დ'. ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს კონკრეტული როლი. 'ა' ინიშნავს, 'ბ' აკეთებს მოხსენებას, 'გ' აკონტროლებს დროს და 'დ' უხელმძღვანელებს დისკუსიას. ჯგუფის თითოეულ ხელმძღვანელს აქვს ოდნავ განსხვავებული დისკუსიის თემა. ყველას აქვს საფუძვლად ერთი თემა - 'საკუთარი ფულის მართვა'. დისკუსიისთვის მოცემულია ათი წუთი. დისკუსიის ბოლოს თითოეული მომხსენებელი გადადის შემდეგ ჯგუფში და აჯამებს წინა ჯგუფის დისკუსიას 'ბ'-ს ჩანაწერების საშუალებით. საბოლოოდ, მასწავლებელი, ჯგუფებისათვის, აჯამებს და აკეთებს დასკვნებს ჩანაწერების საშუალებით.
3. სტუდენტები მიჰყავთ ადგილობრივი მშენებლობის ობიექტზე. მათ ევალებათ დაგეგმილ ფორმატზე დაყრდნობით გაესაუბრონ ერთ ადამიანს თითოეული სავაჭრო განაკვეთიდან. შემდეგ ისინი აკვირდებიან მოვაჭრეს მუშაობის პროცესში, ზუსტად ათი წუთის განმავლობაში, წინასწარ მომზადებული პუნქტების მიხედვით. კოლეჯში დაბრუნების შემდეგ ისინი ადარებენ საკუთარ შედეგებს ფლიპჩარტების გამოყენებით. ერთი მოხალისე სტუდენტი მთელ კლასს აცნობს დაკვირვებების შედეგებს.
4. სტუდენტებმა ახლა ხანს დაასრულეს მოდულის ნაწილი მაგნეტიზმზე. მასწავლებელი აძლევს მათ ამოცანას, რომელიც უნდა შეასრულონ კოლეჯის ბიბლიოთეკაში. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სტუდენტებმა მოიძიონ მაქსიმალური ინფორმაცია 'ელექტრომაგნეტიზმის' შესახებ - და იმის შესახებ, თუ როგორ და რომელ სანარმოებში გამოიყენება ის. მასწავლებელი ურჩევს სტუდენტებს გამოიყენონ წიგნები და ინტერნეტი, ჩაინიშნონ შენიშვნები და მიუთითონ წყაროები. მასწავლებელი ადგენს მოკლე წერილობითი ანგარიშის ჩაბარების ვადას. სამუშაო უნდა განხორციელდეს სტუდენტების მიერ დამოუკიდებლად.
5. ოთხი სტუდენტისგან შემდგარი რამოდენიმე ჯგუფი დგას გამოწვევის წინაშე! ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს A4 ფორმატის ფურცელი. ყველა ჯგუფს ევალება ააგოს ოთხი ქალაქის თვითმფრინავი - ერთმა უნდა იფრინოს სწორად; ერთი აფრინდეს ზემოთ ნელი ტემპით; ერთი დაეშვას ნელა და ბოლო ქალაქის თვითმფრინავმა კი უნდა იმორაოს საათის მიმართულებით. ამოცანების შესასრულებლად მათ 20 წუთი აქვთ და შემდეგ მოხდება პროდუქტის შემოწმება. თითოეული ჯგუფის შედეგები გაფორმდება ცხრილებში და მოხდება მათი ანალიზი დისკუსიის სახით. მასწავლებელი აკეთებს დასკვნებს და უკავშირებს მათ აეროდინამიკის თეორიას და ფრენის პრინციპებს.

7. სასწავლო მასალების ტიპები

არსებობს ბევრი სხვადასხვა სახის სასწავლო მასალა; საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია აღნიშნოთ, თუ რა სახის მასალები არის თქვენთვის უკვე ნაცნობი.



ჩამოთვალეთ მასალების რაც შეიძლება მეტი სახეობა.

სასწავლო მასალების დახარისხება შესაძლებელია შეგრძნებების მიხედვით:

- აუდიო;
- ვიზუალური (მხოლოდ ნაბეჭდი, მხოლოდ ილუსტრირებული, ნაბეჭდი და ილუსტრირებული);
- აუდიოვიზუალური;
- კინესთეტიკური.



შეავსეთ ქვემოთ მოცემული სამუშაო ფურცელი - ეცადეთ დაახარისხოთ თქვენს მიერ აღნიშნული სასწავლო მასალები მოცემული კატეგორიების მიხედვით.

ვიზუალური	აუდიო	აუდიოვიზუალური	კინესთეტიკური

7.1 რის მიხედვით ვირჩევთ სასწავლო მასალებს?

საჭირო სასწავლო მასალის შერჩევა საკმაოდ რთულია და დამოკიდებულია შემდეგზე:

- სწავლების მეთოდი;
- სასწავლო ამოცანების სახეობა;
- სტუდენტების სწავლის სტილი;
- პრაქტიკული შეზღუდვები;
- სწავლების ინდივიდუალური მახასიათებლები.



სწავლების მეთოდი და სასწავლო ამოცანები შეიძლება ერთად განვიხილოთ, რადგან ისინი განისაზღვრება სწავლის შედეგების, შესრულების კრიტერიუმებისა და მოდულის ჩარჩოს მიხედვით. სასწავლო ამოცანას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება სწავლების მეთოდზე. მაგალითად, თქვენს სტუდენტებს კომუნიკაციის უნარების ფარგლებში შეიძლება დაევალოთ შეხვედრის მონაწილეობა. ეს შეიძლება განხორციელდეს სცენარის მიხედვით, ვიდეოს, სასწავლო ნიმუშის მიხედვით ან მოხდეს მისი გადაღება. შესაბამისად, შეარჩევთ იმ სასწავლო მასალებს, რომლებსაც ნოგვიანებით გამოიყენებთ.

მაგალითი

კომუნიკაციის მოდულის სწავლის შედეგი შეიძლება დაიყოს სწავლების მეთოდებად და სასწავლო ამოცანებად. მათი გამოყოფის შემდეგ თქვენ შეძლებთ იმ სასწავლო მასალების შერჩევას, რომლებიც ყველაზე მეტად დაგეხმარებათ შედეგის მიღწევაში, როგორც ეს ქვემოთ არის ნაჩვენები.

სასწავლო მასალების შერჩევა		
მოდულის სათაური	კომუნიკაციის უნარები	
სწავლის შედეგი:	სტუდენტი შეძლებს წაიკითხოს და უპასუხოს წერილობით მასალებს	
შესრულების კრიტერიუმი:	სტუდენტი შეძლებს:	
(ა)	ინფორმაციის მოპოვების მიზნით წაიკითხოს მასალები წყაროებიდან;	
(ბ)	გამოავლინოს ძირითადი პუნქტები და იდეები მასალებიდან;	
(გ)	გამოიყენოს ძირითადი პუნქტები და იდეები მასალებიდან .	
კომპეტენციების პარამეტრების დიაპაზონი:	ტექსტი, გამოსახულებებით გამდიდრებული ტექსტი, რესურსები სტუდენტებისთვის, დისკუსია და წერილობითი სამუშაო	
მასალები:		
სასწავლო ამოცანები	სწავლების მეთოდი	შესაფერისი სასწავლო მასალა
განსაზღვრეთ წყაროები	ჯგუფური სამუშაო და დისკუსია	შესაფერისი საკითხავი მასალა
გამოიყენეთ წყაროების სტრუქტურა	საკითხავი ამოცანები	სხვადასხვა საკითხავი მასალები

გადაკითხვა	საკითხავი ამოცანები	საკითხავი მასალები, დამხმარე მასალები (ჰენდაუტები)
სკანირება	საკითხავი ამოცანები	საკითხავი მასალები, დამხმარე მასალები (ჰენდაუტები)
გააზრება	გააზრების სავარჯიშოები და ჯგუფური დისკუსია	გააზრების სამუშაო ფურცელი
შეჯამება	ჯგუფური დისკუსია და პრობლემატიკა	სამუშაო ფურცელი
გამოიყენეთ ინფორმაცია დისკუსიის დროს	ჯგუფური დისკუსია და პრობლემატიკა	სამუშაო ფურცელი, ფირბე ჩამწერი
გამოიყენეთ ინფორმაცია დისკუსიის დროს	საკითხავი მასალის ინდივიდუალური შეჯამების პრეზენტაცია	დამხმარე მასალები, ვიდეოკამერა და შეფასების ფურცლები


თქვენი მოდულიდან ერთი სწავლის შედეგის საფუძველზე შეავსეთ ქვემოთ მოცემული სამუშაო ფურცელი; შეარჩიეთ სწავლების მთავარი ამოცანები და მეთოდები, და შესაფერისი სასწავლო მასალები. თქვენ შეგიძლიათ დახმარებისთვის გამოიყენოთ ოცდამეთოთხმეტე გვერდებმოცემული ბლოკ-სქემა; კარგი იქნება, თუ მას საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ჯგუფის დანარჩენ წევრებსაც გაუზიარებთ.



სასწავლო მასალების შერჩევა		
მოდულის სათაური		
სწავლის შედეგი:		
შესრულების კრიტერიუმი:		
(ა)		
(ბ)		
(გ)		
კომპეტენციების პარამეტრების სპექტრი:		
სასწავლო ამოცანები	სწავლების მეთოდი	შესაფერისი სასწავლო მასალა

სასწავლო მასალების შესარჩევი ბლოკ-სქემა

ამ ბლოკ-სქემას გამკვეთვის ფუნქცია აქვს. ის დაგეხმარებათ საუკეთესო მასალის შერჩევაში, მაგრამ ეს სქემა არ არის ამომწურავი და არ წარმოადგენს ერთადერთ სწორ გზას. თქვენი პირადი გამოცდილება არის საუკეთესო რესურსი, რომელიც დაგეხმარებათ სწორი მასალების შერჩევაში.



7.2 სტუდენტების სწავლის სტილი

როდესაც გეცოდინებათ სტუდენტების სწავლის სტილი, უკეთ შეძლებთ გადანყვიტოთ, თუ როგორი მასალები და სწავლების ტექნიკა იქნება თქვენი ჯგუფისთვის შესაფერისი. მაგალითად, თქვენ შეიძლება გყავდეთ სტუდენტების ჯგუფი, რომლებსაც პასუხის გაცემამდე ურჩევნიათ ჰქონდეთ სწავლის და ფიქრის დრო. ამ შემთხვევაში, შეიძლება გადანყვიტოთ უფრო მეტად საკითხავი მასალის და არა დისკუსიის ან „გონებრივი იერიშის“ გამოყენება.

დაუბრუნდით თვითმფრინავის აწყობის სავარჯიშოს და განსაზღვრეთ, როგორი სტუდენტი ხართ თქვენ. ყურადღებით წაიკითხეთ თქვენი სწავლის სტილის მახასიათებლები და ქვემოთ მოცემულ სვეტში მიუთითეთ ის სასწავლო მასალები, რაც თქვენის აზრით ყველაზე მეტად შეგეფერებათ.

პრაქტიკული შეზღუდვები

ძალიან მნიშვნელოვანია რაც შეიძლება სწავლად განსაზღვროთ, თუ რა მასალები გაქვთ ხელთ, რა მასალები არის ხელმისაწვდომი კოლეჯში (მაგრამ უნდა ითხოვოთ) და რა არის ხელმისაწვდომი საზოგადოებაში.

სწავლების ინდივიდუალური მახასიათებლები

მნიშვნელოვანია, რომ თავდაჯერებული იყოთ სხვადასხვა საშუალებების გამოყენებისას და გქონდეთ სურვილი, წახვიდეთ რისკზე და სცადოთ რაიმე ახალი.

გამოიყენეთ სქემის უკანა ფურცელი. ეცადეთ, შეარჩიოთ შესაფერისი სასწავლო მასალები თითოეული სწავლის სტილისთვის. როდესაც დაასრულებთ, განიხილეთ სქემა საგანმანათლებლო პროგრამაზე მომუშავე ჯგუფის წევრებთან და სხვა კოლეგებთან ერთად.



სწავლის სტილის შეფასება

აქტივისტი	მოაზროვნე	პრაგმატიტი	თეორეტიკოსი
<ul style="list-style-type: none"> • სიამოვნებით ერთვება აქტივობებში • ახორციელებს იდეებს • მოსწონს ცვლილება და მრავალფეროვნება • მოქნილი • მოქმედებს სწრაფად • მოსწონს ახალი გამოცდილება • მიდის რისკზე • საქმე ბოლომდე მიჰყავს • სიამოვნებს ხალხთან მუშაობა 	<ul style="list-style-type: none"> • იყენებს მონაცემებს სხვადასხვა წყაროებიდან • სიტუაციებს სხვადასხვა კუთხით უყურებს • ჯერ ერთვება და მოგვიანებით ფიქრობს ქმედებებზე • უფრო მეტად აინტერესებს პროცესი, ვიდრე შედეგი • მოსწონს იდეების განვითარება • მოსწონს სოციალური ურთიერთობები 	<ul style="list-style-type: none"> • პრაქტიკაში ახორციელებს იდეებს • აერთიანებს თეორიას და პრაქტიკას • საქმე ბოლომდე მიჰყავს • მოსწონს პრაქტიკული გამოცდილება • გამოაქვს დასკვნები გამოცდილებიდან • იძლევა აზრიან პასუხებს შეკითხვებზე 	<ul style="list-style-type: none"> • პრობლემების საპასუხოდ ქმნის თეორიულ მოდელებს • საფუძვლიანობა • შრომისმოყვარე • კარგად გამოსდის ვერბალური კომუნიკაცია • მუშაობს იდეებთან • აგვარებს პრობლემებს • მოსწონს მართო მუშაობა • აქცევს ყურადღებას დეტალებს • მოსწონს, რომ მოქმედებს ზუსტად
<p>შესაფერისი სასწავლო მასალები</p>	<p>შესაფერისი სასწავლო მასალები</p>	<p>შესაფერისი სასწავლო მასალები</p>	<p>შესაფერისი სასწავლო მასალები</p>

8. ვიზუალური სასწავლო მასალები



არსებობს სხვადასხვა სახის სასწავლო მასალა, მათ შორის:

- წიგნები
- დამხმარე მასალები (პენდაუტები)
- ფრაგმენტები
- ამონაბეჭდები
- პოსტერები
- დიაგრამები
- მულტფილმები
- კროსვორდები
- PowerPoint-ის პრეზენტაციები
- სიტყვების გამოსაცნობი თამაშები
- ფოტოები
- დაფები
- ფლიპჩარტები
- მოდელები
- ბლოკ-სქემები
- რუკები
- სქემები და ა.შ.

რატომ არის ვიზუალური სასწავლო მასალები მნიშვნელოვანი?

- შემოაქვს მრავალფეროვნება;
- იპყრობს სტუდენტების ყურადღებას;
- ზრდის ინფორმაციის დამახსოვრების ხარისხს, ინფორმაციის 70%-ს ვიღებთ მხედველობის საშუალებით;
- უზრუნველყოფს ვიზუალურ იმიჯს, რომლის დანახვაც რთული ან შეუძლებელია;
- უზრუნველყოფს ისეთი რამის ვიზუალურ იმიჯს, რომელიც ჩვენ ჯერ არ განგვიცდია;
- შეიძლება გამოყენებულ იქნას პრეზენტაციის სხვა მეთოდებთან ერთად;
- მისი გამოყენება შეიძლება ტესტირებისთვის, ცოდნის განმტკიცებისთვის, ახალი ცნებების გასაცნობად, თვითშეფასებისა და შეფასებისთვის.

მომდევნო ნაწილებში მოცემული არის რამდენიმე აქტივობა, რომელიც უნდა განახორციელოთ თქვენს საგანმანათლებლო პროგრამის ჯგუფის დანარჩენ წევრებთან ერთად, იმისთვის, რომ დაინწყით თქვენი პროგრამის/მოდულის სასწავლო პაკეტის მომზადება.



8.1 PowerPoint-ის პრეზენტაციები

შეიმუშავეთ მარტივი გეგმა გაკვეთილისთვის, რომელიც გაგრძელდება დაახლოებით 15 წუთი, ერთი შესრულების კრიტერიუმისთვის თქვენი მოდულიდან და შექმენით სულ მცირე ერთი PowerPoint-ის სლაიდი, რომელსაც გამოიყენებთ. მოემზადეთ, რომ ჩაატაროთ თქვენი „გაკვეთილი“ საგანმანათლებლო პროგრამაზე მომუშავე ჯგუფის დანარჩენი წევრებისთვის თქვენი სლაიდის გამოყენებით.

- თითოეულ სლაიდზე მხოლოდ ერთი თემა გამოიყენეთ.
- წაახალისეთ სტუდენტები, რომ გაიგონ სლაიდი.
- შეინარჩუნეთ ვიზუალური კონტაქტი სტუდენტებთან.
- კალმით მიუთითეთ სლაიდის შესაბამის დეტალზე.
- ყურადღების მისაპყრობად გამოიყენეთ ანიმაცია ზოგიერთი სლაიდისთვის.
- სლაიდები უნდა იყოს მარტივი და მოიცავდეს მხოლოდ 4/5 ძირითად საკითხს, რომლის შესახებაც ისაუბრებთ.

- გამოიყენეთ ფონტისთვის ზომა 20 და შეურიეთ დიდი და პატარა ასოები.
- გამორთეთ პროექტორი, როდესაც არ იყენებთ მას.
- დარწმუნდით, რომ პროექტორი არ აფუჭებს ხილვადობას.
- გამოიყენეთ თბილი ფერები, რომ ხაზი გაუსვამთ ძირითად საკითხებს.
- მიეცით დრო სტუდენტებს, რომ წაიკითხონ ვიდრე ისაუბრებენ.
- გამოყავით სათაურები და ქვესათაურები და გაუკეთეთ წარწერა ყველა დიაგრამას.
- გამოიყენეთ კვადრატები, ხაზები ან *, რომ გაამახვილოთ ყურადღება ძირითად საკითხებზე.

8.2 დამხმარე მასალები (ჰენდაუთები) / საინფორმაციო ფურცლები



შეიმუშავეთ მარტივი გეგმა გაკვეთილისთვის, რომელიც გაგრძელდება დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში და შექმენით სულ მცირე ერთი დამხმარე მასალა (ჰენდაუთი), რომელსაც გამოიყენებთ. შემდეგი გზამკვლევის მიხედვით შექმენით დამხმარე მასალა / მასალები (ჰენდაუთი/ჰენდაუთები).

- მოემზადეთ, რომ ჩაატაროთ თქვენი „გაკვეთილი“ დანარჩენი ჯგუფისთვის შერჩეული დამხმარე მასალის / მასალების (ჰენდაუთის/ჰენდაუთების) გამოყენებით.
- დამხმარე მასალები (ჰენდაუთები) უზრუნველყოფს თანაბარ და ზუსტ ინფორმაციას სტუდენტებისთვის და ამცირებს შენიშვნების ჩანერის აუცილებლობას გაკვეთილის დროს.
- ჩართეთ სურათები, რომ მიიპყროთ სტუდენტების ყურადღება და გახსოვდეთ, ასჯერ ნათქვამს ერთხელ ნანახი სჯობს.
- ადვილად აღქმისთვის გამოიყენეთ მკაფიო სათაურები და ქვესათაურები.
- ყოველი დამხმარე მასალა (ჰენდაუთი) დაიწყეთ მოკლე განმარტებით იმის შესახებ, თუ რას ეხება ის.
- იმისთვის, რომ დამხმარე მასალა (ჰენდაუთი) იყოს უფრო ინტერაქტიული, გამოიყენეთ კვადრატები დამატებითი შენიშვნებისთვის და კითხვებისთვის, რომლებსაც უნდა უპასუხონ სტუდენტებმა.
- გამოიყენეთ ადვილად გასაგები ენა და მარტივი წინადადებები.
- გასაგებად ახსენით, თუ რა უნდა გააკეთონ სტუდენტებმა დამხმარე მასალასთან (ჰენდაუთთან) მიმართებაში.
- გაითვალისწინეთ სტუდენტების უკუკავშირი, რათა გააუმჯობესოთ დამხმარე მასალები (ჰენდაუთები).
- მაგალითები უნდა იყოს დანომრილი.
- უნდა მოიცავდეს რთული ან ახალი ტერმინების განმარტებებს.
- უნდა მოიცავდეს წყაროების ჩამონათვალს, რომ სტუდენტებმა სურვილის შემთხვევაში მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია.
- დაგჭირდებათ ბევრი ასლის გაკეთება.
- მოერიდეთ ტექსტით გადატვირთვას, ვინაიდან ეს უკარგავს სტუდენტებს კითხვის სურვილს.
- ყურადღებით გადაიკითხეთ დამხმარე მასალა (ჰენდაუთი), რომ დარწმუნდეთ, რომ მასში შეცდომები არ არის.
- დამხმარე მასალის (ჰენდაუთის) მაგალითები მოცემულია თქვენი მოდულის ნაკრებში.

8.3 სამუშაო ფურცლები / სამუშაო ბარათები



შეიმუშავეთ მარტივი გეგმა გაკვეთილისთვის, რომელიც გაგრძელდება დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში და შეიმუშავეთ სულ მცირე **ერთი** სამუშაო ფურცელი, რომელსაც გამოიყენებთ. შემდეგი გზამკვლევის მიხედვით შექმენით სამუშაო ფურცელი (ფურცლები).

- მოემზადეთ, რომ ჩაატაროთ „გაკვეთილი“, შერჩეული სამუშაო ფურცლის (ფურცლების) გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ჯგუფის დანარჩენი წევრებისთვის.
- სამუშაო ფურცლების დიზაინი შეიძლება იყოს ძალიან მარტივი ან რთული, მაგრამ უნდა შეესაბამებოდეს სტუდენტების დონეს.
- სამუშაო ფურცელი არის არასრული დამხმარე მასალა (ჰენდაუტი).
- სამუშაო ფურცლებზე დიდი სიფრთხილით უნდა იყოს ასახული თემის არსი.
- სამუშაო ფურცელმა უნდა უზრუნველყოს ჩარჩო სტუდენტების აქტივობისთვის გაკვეთილის დროს ან უშუალოდ მის შემდეგ.
- იდეალურ შემთხვევაში, გამოყენებული უნდა იყოს როგორც გრაფიკული, ასევე ნაბეჭდი ინფორმაცია.
- მან უნდა მიიქციოს ყურადღება.
- მისი გამოყენება შეიძლება შეფასებისთვის, დამოუკიდებელი ან ჯგუფური სამუშაოსთვის.
- მას უნდა ჰქონდეს გასაგები სათაური.
- თქვენ უნდა განმარტოთ სამუშაო ფურცლის მიზანი.
- სამუშაო ფურცლები უნდა მოიცავდეს შესაბამის ქვესათაურებს.
- ინფორმაცია უნდა იყოს გაშლილი და არა გადატვირთული.
- სტუდენტებმა უნდა მიიღონ გასაგები ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ რა ევალებათ მათ.
- რთული ცნებების და იმის ილუსტრირებისთვის, რაც არ ჩანს, გამოიყენეთ სურათები ... გახსოვდეთ, ასჯერ ნათქვამს ერთხელ ნანახი სჯობს.
- თქვენ უნდა შეამოწმოთ შევსებული სამუშაო ფურცელი, რომ დარწმუნდეთ იმაში, რომ სამუშაო შესრულებულია.
- გამოსახულებების კონტექსტუალიზაცია უნდა მოხდეს იმ პროფესიული ჯგუფის მიხედვით, რომელსაც ასწავლით; თუ რთულია კონტექსტუალიზაცია პროფესიულ სფეროში, ეცადეთ გამოიყენოთ გამოსახულება ყოველდღიური ცხოვრებიდან.

8.4 პოსტერები / სურათები / გამოსახულებები



შეიმუშავეთ მარტივი გეგმა გაკვეთილისთვის, რომელიც გაგრძელდება დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში და შეარჩიეთ სულ მცირე **ერთი** გამოსახულება, რომელსაც გამოიყენებთ. მოემზადეთ, რომ ჩაატაროთ „გაკვეთილი“ შერჩეული გამოსახულების გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ჯგუფის დანარჩენი წევრებისთვის. შემდეგი გზამკვლევის მიხედვით შექმენით გამოსახულება.

- ყოველთვის შეაგროვეთ სურათები, როდესაც გექნებათ ამის საშუალება.
- როდესაც ფიქრობთ, გამოიყენოთ თუ არა კომერციული მიზნებისათვის შექმნილი გამოსახულება, გაითვალისწინეთ შემდეგი:

- შეესაბამება მიზანს?
 - არის მართებული?
 - არის ზუსტი?
 - არის გასაგები?
 - არის საინტერესო?
 - არის თვალსაჩინო?
 - შეიძლება მისი გამოყენება სწავლების ხელშეწყობისთვის?
 - არის კულტურულად მგრძობიარე?
 - არის ობიექტური?
- თუ პასუხი ამ კითხვებიდან რომელიმეზე არის „არა“, ალბათ უმჯობესია თავად შექმნათ სურათი ან შეცვალოთ და მოარგოთ თქვენს საჭიროებებს ის, რაც უკვე გაქვთ.
 - ნუ ჩამოატარებთ გამოსახულებას გაკვეთილზე, ვინაიდან ამით თქვენ გაფანტავთ ყურადღებას.
 - თუ გამოსახულებას ხშირად იყენებთ, გააკეთეთ პოსტერი, დადეთ გამოსახულება სლაიდზე ან გაადიდეთ ის.
 - გააკეთეთ გამოსახულების კონტექსტუალიზაცია იმ პროფესიული ჯგუფის მიხედვით, რომელსაც ასწავლით. თუ რთულია კონტექსტუალიზაცია პროფესიულ სფეროში, ეცადეთ გამოიყენოთ გამოსახულება ყოველდღიური ცხოვრებიდან.
 - დარწმუნდით, რომ თქვენს გამოსახულებას აქვს გასაგები სათაური.
 - გამოიყენეთ გასაგები სათაურები და ქვესათაურები.
 - მოკლედ ახსენით გამოსახულების მიზანი.
 - გააერთიანეთ გრაფიკა და ტექსტი ან მასალის ბეჭირი პრეზენტაცია ... ნუ ჩათვლით, რომ სტუდენტებს შეუძლიათ სურათების კითხვა. თქვენ ეს მათ უნდა ასწავლოთ, განსაკუთრებით დიაგრამების შემთხვევაში.
- თუ თქვენი გაკვეთილებისთვის ერთ საკლასო ოთახს იყენებთ, გამოფინეთ ის გამოსახულებები, რომლებიც ხშირად გჭირდებათ.

8.5 დაფები და ფლიპჩარტები



შეიმუშავეთ მარტივი გეგმა გაკვეთილისთვის, რომელიც გაგრძელდება დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში და შეარჩიეთ სულ მცირე ერთი დაფაზე შესრულებული ნამუშევარი, რომელსაც გამოიყენებთ.

შემდეგი გზამკვლევის მიხედვით შექმენით გეგმა.

- მოემზადეთ, რომ ჩაატაროთ „გაკვეთილი“ შერჩეული ნამუშევრის გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ჯგუფის დანარჩენი წევრებისთვის.
- მნიშვნელოვანი პუნქტების ჩამოსაწერად შეგიძლიათ გამოიყენოთ თეთრი დაფა, ვინაიდან ეს ხელს უწყობს სტუდენტების ყურადღების კონცენტრაციას.
- წერის დროს ეცადეთ არ შეაქციოთ ზურგი საკლასო ოთახს.
- გამოიყენეთ ვარსკვლავები, წრეები, კვადრატები და ხაზგასასმელი სიტყვები ინფორმაციის მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილების მიზნით.

- წინასწარ დაგეგმეთ დაფაზე შესასრულებელი სამუშაო.
- თქვენს სასწავლო გეგმაში გააკეთეთ დაფაზე შესასრულებელი სამუშაოს მონახაზი.
- გამოიყენეთ ფერები, რომ ხაზი გაუსვათ პუნქტებს - გამოიყენეთ წითელი ფერი.
- დაწერეთ გარკვევით. დიდი საკლასო ოთახისთვის ასოები დაახლოებით 6 სმ სიმაღლის უნდა იყოს.
- საკლასო ოთახის ყველაზე შორი წერტილიდან შეამოწმეთ, შესაძლებელია თუ არა დაფაზე დაწერილი ტექსტის წაკითხვა.
- გაკვეთილის დაწყებამდე მოამზადეთ ფლიპჩარტები და გამოაჩინეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც დაგჭირდებათ.
- მიეცით სტუდენტებს დრო გადაინერონ ის, რაც დაფაზე წერია.
- გამოიყენეთ დაფები გაკვეთილის მნიშვნელოვანი პუნქტების შესაჯამებლად.
- ხმამაღლა წაიკითხეთ ის, რასაც წერთ.
- როდესაც დაასრულებთ, ბოლომდე წაშალეთ ძველი ნამუშევარი.
- გაყავით დაფა, რომ თავი აარიდოთ ინფორმაციის სხვადასხვა ნაწილების ერთ სივრცეზე განლაგებით გამოწვეულ დაბნეულობას.
- დაფარეთ შეუსაბამო ინფორმაცია ფლიპჩარტებზე, რომ სტუდენტებმა მოახერხონ ყურადღების კონცენტრაცია.
- შერეულად გამოიყენეთ დიდი და პატარა ასოები.
- სწრაფად და აკურატულად მუშაობისთვის საჭიროა ვარჯიში.

9. აუდიო და აუდიოვიზუალური სასწავლო მასალები



9.1 აუდიო სასწავლო მასალები

აუდიო სასწავლო მასალები მოიცავს:

- ხმის ჩამწერ აპარატს;
- რადიოს;
- ადამიანებს;

რატომ არის აუდიო სასწავლო მასალები მნიშვნელოვანი?

- ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრაციას;
- შემოაქვს მრავალფეროვნება;
- იპყრობს სტუდენტების ყურადღებას;
- სმენის საშუალებით ჩვენ ვიღებთ ინფორმაციის 20%-ს;
- შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაციის ძირითადი ფორმაა;
- შეიძლება გამოყენებულ იქნას პრეზენტაციის სხვა მეთოდების ხელშეწყობისთვის;
- შეიძლება მისი შექმნა ისე, რომ სტუდენტზე იყოს ორიენტირებული;
- მისი გამოყენება შეიძლება ტესტირებისთვის, ცოდნის განმტკიცებისთვის, ახალი ცნებების გასაცნობად, თვითშეფასებისა და შეფასებისთვის;

შეიმუშავეთ მარტივი გეგმა გაკვეთილისთვის, რომელიც გაგრძელდება დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში და გამოიყენეთ მოცემული ხმის ჩამწერი აპარატი. ჩაატარეთ „გაკვეთილი“ შემდეგი გზამკვლევის მიხედვით და გამოიყენეთ ხმის ჩამწერი აპარატი. მოემზადეთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ჯგუფის დანარჩენი წევრებისთვის ჩაატაროთ „გაკვეთილი“ თქვენი ხმის ჩამწერის გამოყენებით.



- გაკვეთილის დაწყებამდე ყურადღებით მოუსმინეთ თქვენს ჩანაწერს.
- მოამზადეთ გაკვეთილის გეგმა.
- შეინარჩუნეთ ვიზუალური კონტაქტი სტუდენტებთან.
- მიეცით სტუდენტებს საშუალება ერთხელ მოუსმინონ ჩანაწერს ბოლომდე და შემდეგ გაიმეორეთ ის, შეჩერდით შესაფერის ადგილებზე საჭიროების შემთხვევაში.
- გააკეთეთ ჩანაწერის რედაქტირება ისე, რომ მოიცავდეს მხოლოდ თქვენთვის საჭირო ინფორმაციას.
- შეარჩიეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც სტუდენტების ყურადღებას მიაპყრობს აუდიო მასალას და დაეხმარება სტუდენტებს გაითავისონ ის.
- დარწმუნდით, რომ ყველას ესმის ჩანაწერი.
- მინიმუმამდე დაიყვანეთ ხმაური, რომელიც ისმის.
- სანამ დაიწყებდეთ, ახსენით თუ რას ეხება ჩანაწერი და რისი მოსმენა ევალებათ სტუდენტებს.
- ჩანაწერი უნდა იყოს მოკლე; სხვა შემთხვევაში სტუდენტები დაკარგავენ ინტერესს მის მიმართ.

- შემდეგ, სწავლების ფოკუსირებისთვის, შეავსებინეთ სტუდენტებს სამუშაო ფურცლები ან ჩაატარეთ შესაფერისი აქტივობა.
- ხმის ჩამწერი აპარატის გამოყენება შეიძლება ისეთი უნარების შეფასებისთვის, როგორც არის ბეჭდვა / კარნახი / არითმეტიკა.
- ხმის ჩამწერი აპარატის გამოყენება შეიძლება მეტყველების უნარების თვითშეფასებისთვის, რადგან შესაძლებელია სტუდენტების ჩანერა და შემდეგ ჩანაწერის ხელახლა მოსმენა და შეფასება.
- ხმის ჩამწერი აპარატის გამოყენება შეიძლება დამოუკიდებელი სწავლისთვის ან მოსმენის უნარების განვითარებისთვის.
- თუ ჩანაწერი თქვენს მიერ არის გაკეთებული, დარწმუნდით რომ თქვენი საუბარი არის ნელი და გასაგები. მოასმენინეთ ჩანაწერი სხვა პიროვნებას, რომ დარწმუნდეთ, ჩანაწერი გარკვევით ისმის.
- რთულია შეუჩერებლად სმენა 15 წუთზე მეტი დროის განმავლობაში.

შეიმუშავეთ მარტივი გეგმა გაკვეთილისთვის, რომელიც გაგრძელდება დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში და ყურადღება გაამახვილეთ იმაზე,



თუ როგორ იყენებთ თვენს ხმას. შემდეგი გზამკვლევის მიხედვით დაგეგმეთ გაკვეთილი, სადაც გამოიყენებთ თქვენი და სტუდენტების ხმების ჩანაწერს. მოემზადეთ, რომ ჩაატაროთ „გაკვეთილი“ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ჯგუფის დანარჩენი წევრებისთვის თქვენი ხმის გამოყენებით.

- ეს საკლასო ოთახში ძირითადი კომუნიკაციის ფორმაა და ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია.
- უმეტესად, ჩვენ ვსწავლობთ იმის მხოლოდ 20%-ს, რაც გვესმის. თუ თქვენი ხმა არ არის საინტერესო, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდება.
- მნიშვნელოვანია პირველ რიგში ახსნათ, თუ რის შესახებ ისაუბრებთ. ეს იძლევა ზოგად წარმოდგენას თემაზე.
- თქვენი ხმა გასაგები უნდა იყოს ყველასთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც საკლასო ოთახის უკანა ნაწილში ბის. იკითხეთ და შეამოწმეთ, ყველას ესმის თუ არა თქვენი.
- საუბრის დროს მიაქციეთ ყურადღება თქვენს ხმას.
- არ შეაქციოთ ბურგი სტუდენტებს და არ ესაუბროთ დაფას.
- ხაზი გაუსვით მნიშვნელოვან სიტყვებს ან ინფორმაციას, ცვლილება თქვენს ხმაში დაგეხმარებათ ყურადღების მოზიდვაში.
- შეცვალეთ ხმის ინტონაცია და ტემბრი და მსმენელისთვის თქვენი საუბარი უფრო საინტერესო გახდება.
- ხშირად დასვით შეკითხვები, რომ შეამოწმოთ, გისმენენ თუ არა სტუდენტები და ასევე, აღიქვამენ თუ არა ისინი თქვენს საუბარს.
- ეცადეთ ბევრი არ იმოძრაოთ, ვინაიდან ეს სტუდენტებს კონცენტრაციას დააკარგვინებს, მაგრამ ნურც გაშეშდებით.
- მოსთხოვეთ სტუდენტებს დროდადრო საკუთარი სიტყვებით გაიმეორონ თქვენი ნათქვამი.
- მიეცით სტუდენტებს საშუალება ხშირად ისაუბრონ.

9.2 აუდიოვიზუალური სასწავლო მასალები



აუდიოვიზუალური მასალები მოიცავს:

- ვიდეოებს / DVD დისკებს
- დემონსტრაციებს

რატომ არის აუდიოვიზუალური მასალები მნიშვნელოვანი?

- ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრაციას;
- შემოაქვს მრავალფეროვნება;
- იპყრობს სტუდენტების ყურადღებას;
- ჩვენ ვიღებთ ინფორმაციის 70%-ს მხედველობის და მის 20%-ს მოსმენის საშუალებით ... სასარგებლო კომბინაციაა;
- უზრუნველყოფს ვიზუალურ გამოსახულებას და ხმოვან ინფორმაციას ისეთი რამის, რისი დანახვაც რთულია ან შეუძლებელი;
- უზრუნველყოფს ვიზუალურ იმიჯს და ხმოვან ინფორმაციას ისეთი რამის, რაც ჩვენ ჯერ არ განგვიცდია;
- შეიძლება გამოყენებულ იქნას პრეზენტაციის სხვა მეთოდებთან ერთად;
- შეიძლება იყოს მომხმარებელზე მორგებული;
- შეიძლება მისი დაგეგმვა სტუდენტების საჭიროებების მიხედვით;
- მისი გამოყენება შეიძლება ტესტირებისთვის, ინფორმაციის განმტკიცებისთვის, ახალი ცნებების გასაცნობად, თვითშეფასებისა და შეფასებისთვის;
- ადვილად შეიძლება მისი შემოწმება.

რჩევები ვიდეოების / DVD დისკების გამოყენებისთვის

იმისთვის, რომ ეფექტურად გამოიყენოთ თქვენი ვიდეოები / DVD დისკები:

- მოამზადეთ თქვენი მოსწავლეები, ვიდრე ისინი ვიდეოს / DVD დისკის ყურებას დაიწყებდნენ. აუხსენით მათ, თუ რას შეეხება ვიდეო და რისი გაკეთება ევალებათ მათ.
- შეაჩერეთ ვიდეო / DVD დისკი გარკვეულ ადგილებზე და განიხილეთ შესაბამისი საკითხები.
- ჩვენებამდე ყოველთვის თავად ნახეთ ვიდეო / DVD დისკი.
- მოამზადეთ სამუშაო ფურცელი, დამხმარე მასალა (ჰენდაუტები) ან დამატებითი მასალა, რომ შეავსოს ვიდეო / DVD დისკი.
- გამორთეთ ვიდეო ვასეტის ჩაშვრი / DVD-ს წამკითხველი, როდესაც არ იყენებთ მას.
- შეაჩერეთ ვიდეო / DVD დისკი გარკვეულ ადგილებზე და მიეცით სტუდენტებს საშუალება, რომ გამოიცნონ, თუ რა მოხდება შემდეგ.
- უთხარით სტუდენტებს რა უნდა ჩაინიშნონ (საჭიროების შემთხვევაში).
- დაგეგმეთ აქტობობები ვიდეოს / DVD-ს ნახვის შემდეგ.
- ეცადეთ არ გადაფაროთ ჩანაწერის ხმა.
- ეცადეთ ძალიან ხშირად არ შეაჩეროთ ვიდეო / DVD, ვინაიდან ამით შეიძლება გაფანტოთ სტუდენტების ყურადღება.
- წაახალიეთ სტუდენტები გააკეთონ საკუთარი თავის ჩანაწერები. განიხილეთ და შეაფასეთ ეს ჩანაწერები, რომ შემდეგში მათ გააუმჯობესონ შესრულება.
- გაკვეთილის დაწყებამდე სწორად განალაგეთ ვიდეო / DVD.

10. კინესთეტიკური მასალები



რას წარმოადგენს კინესთეტიკური სასწავლო მასალები?

კინესთეტიკური სასწავლო მასალები მოიცავს მთელ რიგ შეგრძნებებს და გულისხმობს სტუდენტის ფიზიკურ ჩართულობას პრობლემის გადაწყვეტაში.

კინესთეტიკური სასწავლო მასალები მოიცავს:

- თამაშებს;
- სიმულაციებს;
- როლურ-თამაშებს;
- შესასწავლ ნიმუშებს.

რატომ არის კინესთეტიკური სასწავლო მასალები მნიშვნელოვანი?

- ხელს უწყობს სტუდენტების მოტივაციას და შემოაქვს მრავალფეროვნება;
- სტუდენტებს მათებს თავდაჯერებულობას;
- ხელს უწყობს სტუდენტების სწავლებას;
- მისი გამოყენება შეიძლება მაშინ, როდესაც ცხოვრებისეული სიტუაცია არ არის ადვილად ხელმისაწვდომი;
- მისი გამოყენება შეიძლება ტესტირებისთვის, განმტკიცებისთვის, ახალი ცნებების გასაცნობად, თვითშეფასებისა და შეფასებისთვის;
- ხელს უწყობს ინფორმაციის კონცეპტუალიზაციას;
- ადვილად შეიძლება ამგვარად ნასწავლის გამოყენება რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციაში;
- ავლენს, თუ რამდენად შეუძლიათ სტუდენტებს შეძენილი უნარების რეალურ სიტუაციებში გამოყენება;
- აწვდის ინფორმაციას მხიარული, პრაქტიკული გზით.



შეიმუშავეთ მარტივი გეგმა გაკვეთილისთვის, რომელიც გაგრძელდება დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში და შეარჩიეთ სულ მცირე ერთი თამაში, რომელსაც გამოიყენებთ. შემდეგი გზამკვლევის მიხედვით დაგეგმეთ გაკვეთილი, რომლის დროსაც გამოიყენებთ თამაშს. მოემზადეთ, რომ ჩაატაროთ თქვენი „გაკვეთილი“ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ჯგუფის დანარჩენი წევრებისთვის შერჩეული თამაშის გამოყენებით.

- თავად გაითამაშეთ თამაში გაკვეთილამდე;
- დარწმუნდით, რომ თავად გესმით თამაშის წესები;
- თამაში ფასეულია მაშინ, როდესაც ის ავითარებს იმ უნარებს, ცოდნასა და გაცნობიერებას, რომელსაც მოითხოვს მოდულის სპეციფიკაციები.
- მიეცით სტუდენტებს საშუალება, რომ რამოდენიმეჯერ გაიმეორონ თამაში სანამ დაინწყებენ იმის განხილვას, თუ რა ისწავლეს.
- მაქსიმალურად მოახდინეთ სწავლების კონტექსტუალიზაცია თამაშში. ამის გაკეთება შესაძლებელია სხვადასხვა მასალების გამოყენებით; მაგ. ბარათების, და ა.შ.
- თამაშის შემდეგ ყოველთვის განიხილეთ მისი დანიშნულება.

- სტუდენტებს მიეცით საშუალება, რომ გამოხატონ თავიანთი აზრი საკუთარ და სხვა მონაწილეების შესრულებაზე.
- დაუსვით თქვენს თავს შეკითხვა, თამაში უფრო ეფექტურად სწავლებას უწყობს ხელს ანდა გადანყვეტილების უკეთ მიღებას, ვიდრე სხვა სასწავლო მოდელები? ვიცი, რატომ ვირჩევ ამ თამაშს?
- მისაღებია ის რეალობა, რომელსაც თამაში გამოხატავს?
- როგორ მოხდება თამაშის და სტუდენტების მართვა საკლასო ოთახში?
- თამაშის შერჩევის დროს უნდა გაითვალისწინოთ, რომ მისი საშუალებით უნდა ხდებოდეს საჭირო ცოდნის ან უნარების გამოყენება.

შეიმუშავეთ მარტივი გეგმა გაკვეთილისთვის, რომელიც გაგრძელდება დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში და შეარჩიეთ სულ მცირე ერთი სიმულაცია / როლური თამაში, რომელსაც გამოიყენებთ. მოემზადეთ, რომ სიმულაციის გამოყენებით ჩაატაროთ თქვენი „გაკვეთილი“ პროგრამაზე მომუშავე ჯგუფისთვის.



- აქტიურად რთავს სტუდენტებს გადანყვეტილების მიღების, პრობლემის გადაჭრისა და კობიცის ჩამოყალიბების პროცესში.
- სიმულაცია / როლური თამაში ჩვეულებრივ რეალობის გამარტივებული ვერსიაა.
- რეალობის ასპექტების გამეორება, რომელთა შესწავლაც ხდება, უნდა მოხდეს მაქსიმალურად ზუსტად.
- თამაშისგან განსხვავებით, სიმულაციის ან როლური თამაშის დროს, არ არის შეჭიბრების ელემენტი.
- რეკომენდებულია ცალკეული კომპონენტების სიმულირება. თუმცა გარკვეულ მომენტში შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ნაწილ-ნაწილ ნასწავლი კომპონენტების ერთად სიმულირება.
- სიმულაცია იძლევა სავარჯიშოს შესრულებასთან დაკავშირებული საშიშროების თავიდან აცილების საშუალებას, მაგ. სახანძრო განგაშის საპასუხოდ ბურღვა.
- ფრთხილად განმარტეთ სიმულაცია, ახსენით მისი მიზანი და თუ რა როლი დაეკისრება თითოეულ ადამიანს.
- კარგ სიმულაციას უნდა ჰქონდეს მკაფიო, სტუდენტების საჭიროებებისა და სასწავლო პროგრამის შესაბამისი მიზანი.
- საკმარისი დრო უნდა გამოიყოს იმისთვის, რომ სიმულაციამ ბუნებრივად ჩაიაროს.
- სიმულაციისთვის უმჯობესია მცირე, 5 – 8 წევრიანი, ჯგუფები.
- დაუშვით რაც შეიძლება მეტი თავისუფლება, მაგრამ ყურადღებით განსაზღვრეთ კონტექსტი, რომ თითოეულმა ადამიანმა იცოდეს თავისი როლის შესახებ.
- ყოველთვის უნდა გამახვილდეს ყურადღება იმაზე, თუ „რა ვისწავლეთ“. სტუდენტი ვერ ისწავლის მანამ, სანამ არ დაეხმარება მასწავლებელი, თანატოლი ან თავად არ დაფიქრდება ამ საკითხის შესახებ.
- თუ სიმულაცია ტარდება წყვილებში, შეცვალეთ როლები, რომ ყველამ მიიღოს მონაწილეობა. შექმენით ბარათები პერსონაჟებისთვის, რომ დაეხმაროთ სტუდენტებს გაითავისონ როლი.
- მიეცით სტუდენტებს დრო, რომ წარმოიდგინონ სიმულაცია, ვიდრე მონაწილეობას მიიღებენ მის განხორციელებაში.

შეიმუშავეთ მარტივი გეგმა გაკვეთილისთვის, რომელიც გაგრძელდება დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში და განავითარეთ სულ მცირე ერთი სიტუაციური ამოცანა, რომელსაც გამოიყენებთ. შემდეგი გზამკვლევის

მიხედვით შეადგინეთ გაკვეთილი სიტუაციური ამოცანის გამოყენებით. მოემზადეთ, რომ ჩაატაროთ „გაკვეთილი“ საგანმანათლებლო პროგრამაზე მომუშავე ჯგუფის დანარჩენი წევრებისთვის სიტუაციური ამოცანის გამოყენებით.

10.1 სიტუაციური ამოცანების გზამკვლევი

- სიტუაციური ამოცანა აღწერს რეალურ სიტუაციებს ან შემთხვევებს. სტუდენტს ევალება გაითავისოს სიტუაციური ამოცანა და გააკეთოს კომენტარი მოცემულ სიტუაციაზე, გადაჭრას პრობლემა, გამოთქვას აზრი იმის შესახებ, თუ რა შეიძლება მოხდეს შემდეგ ან ჩამოაყალიბოს ალტერნატიული მიდგომა.
- სტუდენტი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს გადაწყვეტილებების მიღებაში, პრობლემის გადაჭრასა და პოზიციის ჩამოყალიბებაში.
- სიტუაციური ამოცანა, ჩვეულებრივ რეალობის გამარტივებული ვერსიაა.
- რეალობის იმ ასპექტების განსახიერება, რომელთა შესწავლაც ხდება, უნდა მოხდეს მაქსიმალურად ზუსტად.
- ფრთხილად განმარტეთ სიტუაციური ამოცანა, ახსენით მისი მიზანი და როლი, რაც დაეკისრება თითოეულ ადამიანს.
- კარგ სიტუაციურ ამოცანას უნდა ჰქონდეს მკაფიო, სტუდენტების საჭიროებებისა და სასწავლო პროგრამის შესაბამისი მიზანი.
- საკმარისი დრო უნდა გამოიყოს იმისთვის, რომ სიტუაციურ ამოცანაზე მუშაობამ ბუნებრივად ჩაიაროს.
- სიტუაციურ ამოცანაზე მუშაობისთვის უმჯობესია მცირე, 4 – 5 წევრიანი, ჯგუფები.
- ყოველთვის უნდა გამახვილდეს ყურადღება იმაზე, თუ „რა ვისწავლეთ“. სტუდენტი ვერ ისწავლის მანამ, სანამ არ დაეხმარება მასწავლებელი, თანატოლი ან თავად არ დაფიქრდება ამ საკითხზე.
- მიეცით სტუდენტებს დრო, რომ წარმოიდგინონ სიტუაციური ამოცანა ვიდრე მონაწილეობას მიიღებენ მის განხორციელებაში.

➤

წაიკითხეთ მაგალითები, რომლებიც დაგეხმარებათ

სიტუაციური ამოცანების შედგენაში თქვენი პროფესიული სფეროს მიხედვით.

სიტუაციური ამოცანა 1

გვიან საღამოს, როდესაც სასტუმროს რესტორანი უკვე იხურებოდა, რესტორანს ეწვია კლიენტი, რომელიც სასტუმროს მცხოვრები იყო. როდესაც კლიენტი მიუახლოვდა ხელმძღვანელის მაგიდას, ხელმძღვანელმა შეამოწმა შეკვეთები, რომ ენახა, ვინ შეიძლებოდა მოსულიყო ასე გვიან. მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ შეჩერებულიყო, კლიენტმა ჩაუარა ხელმძღვანელს და დაჯდა პირველსავე თავისუფალ მაგიდაზე.

- თქვენს საგანმანათლებლო პროგრამაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფში განიხილეთ, თუ რა უნდა მოიმოქმედოს რესტორნის ხელმძღვანელმა და ჩამოაყალიბეთ მიზეზები, თუ რატომ ფიქრობთ ასე.

სიტუაციური ამოცანა 2

სასტუმროს მმართველმა საკუთარ მაგიდაზე აღმოაჩინა საჩივარი ერთ-ერთი ახალი რეგისტრატორის წინააღმდეგ.

მოსვენება აღწერდა შემთხვევას, რომელიც მოხდა იმავე დღეს - რეგისტრატორმა ვერ იპოვა კლიენტის ჯავშანი ორადგილიანი ნომრისთვის და მან უხეშად უპასუხა შემოსულ კლიენტს.

მეორე რეგისტრატორმა გადაიბარა ჯავშანი, როდესაც შეიტყო პრობლემის შესახებ. მაგრამ კლიენტმა დაჟინებით მოითხოვა ხელმძღვანელის სახელზე საჩივრის დაწერა.

საგანმანათლებლო პროგრამაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფში განიხილეთ, თუ რა უნდა მოიმოქმედოს სასტუმროს მმართველმა და ჩამოაყალიბეთ მიზეზები, თუ რატომ ფიქრობთ ასე.

თქვენ დაასრულეთ სასწავლო მასალების გზამკვლევი და იმედია წარმატებით გაართმევთ თავს სტუდენტებისთვის შესაფერისი სასწავლო მასალების მომზადებას. დანართი 3, ჩამონათვალის საშუალებით, დაგეხმარებათ სასწავლო მასალების შეფასებაში.

დანართი 1: მუშაობის სქემის ნიმუში

მოდულის სათაური - ძირითადი სამეწარმეო უნარები

1 გაკვეთილი = 1.0 საათი

გაკვეთილი	სწავლის შედეგი/შესრულების კრიტერიუმები	თემა	რესურსები
1	სწავლის შედეგი 1 / შესრულების კრიტერიუმი ა	მეწარმეობის ძირითადი უნარების, მოდულების და მათი პროფესიულ პროგრამასთან შესაბამისობის მიმოხილვა. მოდულის ჩარჩოსი და მისი ნაწილების არსის გამეორება, ძირითადი სამეწარმეო უნარების მოდულის შესავალი, ძირითადი სამეწარმეო უნარების მოდულის გამეორება, მიწოდების და შეფასების პროცედურები მეწარმე და მისი როლი - შესავალი	მოდულის ჩარჩო - ძირითადი სამეწარმეო უნარები დამხმარე მასალა (ჰენდაუთები) PP პროექტორი/პრეზენტაცია აქტივობის ფურცლები
2	სწავლის შედეგი 1 / შესრულების კრიტერიუმი ა	მეწარმე მეწეჯერის წინააღმდეგ, მეწარმეები საზოგადოებაში, სამეწარმეო საქმიანობების კლასიფიკაცია	დამხმარე მასალა (ჰენდაუთები) სიტუაციური ამოცანები PP პროექტორი/პრეზენტაცია აქტივობის ფურცლები
3	სწავლის შედეგი 1 / შესრულების კრიტერიუმი ა	საველე მოგზაურობა - საზოგადოებაში სამეწარმეო საქმიანობების ამოცნობა. განმავითარებელი შეფასება.	შენიშვნების ფურცელი შეფასების ფურცლები
4	სწავლის შედეგი 1 / შესრულების კრიტერიუმი ბ	რატომ ერთვებიან მეწარმეები სამეწარმეო აქტივობებში. მიზიდვა-განზიდვის ფაქტორები	დამხმარე მასალა (ჰენდაუთები) სიტუაციური ამოცანები აქტივობის ფურცლები PP პროექტორი/პრეზენტაცია
5	სწავლის შედეგი 1 / შესრულების კრიტერიუმი გ	პროფესიონალის სამეწარმეო აქტივობებში ჩართვის უპირატესობები და არახელსაყრელი პირობები.	დამხმარე მასალა (ჰენდაუთები) სიტუაციური ამოცანები აქტივობის ფურცლები PP პროექტორი/პრეზენტაცია

	სწავლის შედეგი 1 / შესრულების კრიტერიუმი დ	ბოცანასთვის სამწარმო აქტივობებში ჩართვის ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური უპირატესობები.	დამზარე მასალა (ჰენდაუტები) სიტუაციური ამოცანები აქტივობის ფურცლები PP პროექტორი/პრეზენტაცია
7	სწავლის შედეგი 1	განმავითარებელი შეფასება და უპკავშირი.	შეფასების ფურცლები
8	სწავლის შედეგი 1	შემაჯამებელი შეფასება.	შეფასების ფურცლები
9	სწავლის შედეგი 1	აღდგენა.	დამზარე მასალა (ჰენდაუტები) სიტუაციური ამოცანები აქტივობის ფურცლები PP პროექტორი/პრეზენტაცია
10	სწავლის შედეგი 1	ხელახლა შეფასება.	შეფასების ფურცლები
11	სწავლის შედეგი 2 / შესრულების კრიტერიუმები ა - ბ	პირადი სამწარმო მასასიათებლები - მესავალი მიღწევის მახასიათებლები	დამზარე მასალა (ჰენდაუტები) სიტუაციური ამოცანები აქტივობის ფურცლები PP პროექტორი/პრეზენტაცია
12	სწავლის შედეგი 2 / შესრულების კრიტერიუმები ა - ბ	ძალის მახასიათებლები დაგმგვის მახასიათებლები	დამზარე მასალა (ჰენდაუტები) სიტუაციური ამოცანები აქტივობის ფურცლები PP პროექტორი/პრეზენტაცია
13	სწავლის შედეგი 2 / შესრულების კრიტერიუმები გ - დ	მწარმოების ინდივიდუალური თვითშეფასების და პირადი შეფასების მახასიათებლები	დამზარე მასალა (ჰენდაუტები) აქტივობის ფურცლები ტრანსპარანტი/ოვერჰედის პროექტორი (OHT/OHP) თვითშეფასების ფურცლები
14	სწავლის შედეგი 2	განმავითარებელი შეფასება და უპკავშირი	შეფასების ფურცელი
15	სწავლის შედეგი 2	შემაჯამებელი შეფასება	შეფასების ფურცელი
16	სწავლის შედეგი 2	აღდგენა	დამზარე მასალა (ჰენდაუტები) თვითშეფასების ფურცლები აქტივობის ფურცლები PP პროექტორი/პრეზენტაცია
17	სწავლის შედეგი 2	ხელახლა შეფასება	შეფასების ფურცლები

18	სწავლის შედეგი 3 / შესრულების კრიტერიუმი ა	აქტივობები, რომლებიც აკეთებს რისკიანობის, შემოქმედებითი და პრობლემის გადაწყვეტის თვისებების დემონსტრირებას	აქტივობის ფურცლები თამაშები დაკვირვების ფურცლები
19	სწავლის შედეგი 3 / შესრულების კრიტერიუმი ა	აქტივობები, რომლებიც აკეთებს რისკიანობის, შემოქმედებითი და პრობლემის გადაწყვეტის თვისებების დემონსტრირებას	აქტივობის ფურცლები თამაშები დაკვირვების ფურცლები
20	სწავლის შედეგი 3 / შესრულების კრიტერიუმი ა	აქტივობები, რომლებიც აკეთებს რისკიანობის, შემოქმედებითი და პრობლემის გადაწყვეტის თვისებების დემონსტრირებას	აქტივობის ფურცლები თამაშები დაკვირვების ფურცლები
21	სწავლის შედეგი 3 / შესრულების კრიტერიუმები ბ - ბ	აქტივობები, რომლებიც აკეთებენ გადაწყვეტილების მიღების, ურთიერთობების დამყარების, მიზნების განსაზღვრისა და ინფორმაციის მოძიების თვისებების დემონსტრირებას	აქტივობის ფურცლები სამეთვალყურეო ფურცლები
22	სწავლის შედეგი 3 / შესრულების კრიტერიუმები ბ - ბ	აქტივობები, რომლებიც აკეთებენ გადაწყვეტილების მიღების, ურთიერთობების დამყარების, მიზნების განსაზღვრისა და ინფორმაციის მოძიების თვისებების დემონსტრირებას	აქტივობის ფურცლები სამეთვალყურეო ფურცლები
23	სწავლის შედეგი 3 / შესრულების კრიტერიუმი ა	განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირში აქტივობები, რომლებიც აკეთებენ რისკიანობის, შემოქმედებითი და პრობლემის გადაწყვეტის თვისებების დემონსტრირებას	აქტივობის ფურცლები თამაშები დაკვირვების ფურცლები სამეთვალყურეო ფურცლები

24	სწავლის შედეგი 3 / შესრულების კრიტერიუმები ბ - 8	განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირი. აქტივობები, რომლებიც აკეთებენ გადანწყვეტილების მიღების, ურთიერთობების დამყარების, მიზნების განსაზღვრისა და ინფორმაციის მოძიების თვისებების დემონსტრირებას შემაჯამებელი შეფასების საკითხები ბ და გ შესრულების კრიტერიუმებისთვის	განმავითარებელი შეფასება და აქტივობები, რომლებიც აკეთებენ გადანწყვეტილების მიღების, ურთიერთობების დამყარების, მიზნების განსაზღვრისა და ინფორმაციის მოძიების თვისებების დემონსტრირებას შემაჯამებელი შეფასების საკითხები ბ და გ შესრულების კრიტერიუმებისთვის	აქტივობის ფურცლები სამეთვალყურეო ფურცლები შემაჯამებელი შეფასების ფურცელი
25	სწავლის შედეგი 3 / შესრულების კრიტერიუმი ა	შემაჯამებელი შეფასება - ჯგუფი 1 (8 სტუდენტი)	შეფასების ფურცელი	შეფასების ფურცელი
26	სწავლის შედეგი 3 / შესრულების კრიტერიუმი ა	შემაჯამებელი შეფასება - ჯგუფი 2 (8 სტუდენტი)	შეფასების ფურცელი	შეფასების ფურცელი
27	სწავლის შედეგი 3	აღდგენა	აქტივობის ფურცლები თამაშები დაკვირვების ფურცლები სამეთვალყურეო ფურცლები	აქტივობის ფურცლები დაკვირვების ფურცლები სამეთვალყურეო ფურცლები
28	სწავლის შედეგი 3	ხელახლა შეფასება	ხელახლა შეფასება	შეფასების ფურცლები
29	სწავლის შედეგი 3	ხელახლა შეფასება	ხელახლა შეფასება	შეფასების ფურცლები
30	სწავლის შედეგი 4 / შესრულების კრიტერიუმები ა	იდეის ჩამოყალიბების პროცესი - შესავალი. ბიზნეს იდეის ჩამოყალიბება გარემოს შესწავლის საშუალებით	იდეის ჩამოყალიბების პროცესი - შესავალი. ბიზნეს იდეის ჩამოყალიბება გარემოს შესწავლის საშუალებით	დამხმარე მასალა (ჰენდაუთები) აქტივობის ფურცლები ოვერჰედის ტრანსპარანტი/ოვერჰედის პროექტორი
31	სწავლის შედეგი 4 / შესრულების კრიტერიუმი ა	ბიზნეს იდეის ჩამოყალიბება გარემოს შესწავლის საშუალებით	ბიზნეს იდეის ჩამოყალიბება გარემოს შესწავლის საშუალებით	დამხმარე მასალა (ჰენდაუთები) აქტივობის ფურცლები ოვერჰედის ტრანსპარანტი/ოვერჰედის პროექტორი
32	სწავლის შედეგი 4 / შესრულების კრიტერიუმი ბ	ბიზნეს იდეის ჩამოყალიბება გონებრივი იერიშის საშუალებით	ბიზნეს იდეის ჩამოყალიბება გონებრივი იერიშის საშუალებით	დამხმარე მასალა (ჰენდაუთები) აქტივობის ფურცლები
33	სწავლის შედეგი 4 / შესრულების კრიტერიუმი გ	ბიზნეს იდეის ჩამოყალიბება 'რა იქნება თუ' სიტუაციების გამოყენებით	ბიზნეს იდეის ჩამოყალიბება 'რა იქნება თუ' სიტუაციების გამოყენებით	დამხმარე მასალა (ჰენდაუთები) აქტივობის ფურცლები

34	სწავლის შედეგი 4	განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირი	შეფასების ფურცლები
35	სწავლის შედეგი 4 / შესრულების კრიტერიუმი ა	შემაჯამებელი შეფასება - გარემოს შესწავლა	შეფასების ფურცლები
36	სწავლის შედეგი 4 / შესრულების კრიტერიუმი ა	შემაჯამებელი შეფასება - გარემოს შესწავლა	შეფასების ფურცლები
37	სწავლის შედეგი 4 / შესრულების კრიტერიუმი ბ	შემაჯამებელი შეფასება - გონებრივი იერიში	შეფასების ფურცლები
38	სწავლის შედეგი 4 / შესრულების კრიტერიუმი გ	შემაჯამებელი შეფასება - 'რა იქნება თუ' სიტუაციები	შეფასების ფურცლები
39	სწავლის შედეგი 4	აღდგენა	დამხმარე მასალა (ჰენდაუტები) აქტივობის ფურცლები
40	სწავლის შედეგი 4	ხელახლა შეფასება	შეფასების ფურცელი

2013 წლის მაისი

დანართი 2: გავვეთილის გეგმის ნიმუში

მოდულის სათაური: ფინანსური საქმისწარმოება: შესავალი		მოდულის კოდი: U 1018602	სანგრძლივობა: 16 საათი	მესამე დონე	
სწავლის შედეგი 2:		მასწავლებლის სახელი:			
შესრულების კრიტერიუმები:		გავვეთილის ნომერი: 3			
<p>(ა) სწორად ჩამოთვლის ფინანსური ოპერაციების აღრიცხვის ეტაპებს</p> <p>(ბ) სწორად განსაზღვრავს ოპერაციების პირველადი შურნალის მიზანს</p> <p>(გ) სწორად განსაზღვრავს კავშირი მოცემულ საწყის დოკუმენტებსა და პირველადი ოპერაციების შურნალს შორის</p> <p>(დ) სწორად განსაზღვრავს იმ ეტაპებს, რომელზეც ხდება დღგ-ს ჩანერა</p> <p>(ე) აკეთებს მოკლე მონახაზს, თუ როგორ ხდება ოპერაციების პირველად შურნალში შეტანილი მონაცემების გარდაქმნა მარტივ ფინანსურ ანგარიშებად</p> <p>(ვ) სწორად განმარტავს ფინანსურ ანგარიშებს</p>		<p>მასშტაბი: შესყიდვის დავთარი, გაყიდვების შურნალი, ნაღდი გაყიდვების შურნალი, შესყიდვების დაბრუნების შურნალი, გაყიდვების დაბრუნების შურნალი, მთავარი შურნალი, ანგარიშფაქტურა, ეკითარი, გადახდის საბანკო ფორმის შევსება, საკრედიტო შენიშვნა, სავაჭრო მოგებისა და ბარალის ანგარიში, ბალანსი</p>			
თემა	მასწავლებლის აქტივობა	კანდიდატის აქტივობა	მინოდების რეჟიმი	წყაროები	დრო
ფინანსური ოპერაციების აღრიცხვის ეტაპების ჩამოთვლა	ფინანსური ოპერაციების აღრიცხვების ეტაპების ჩამოთვლა	მასწავლებლის მოსმენა	ბეჭირი და წერილობითი	ოვერჰედ პროექტორი თეთრი დაფა	30 წუთი
პირველადი ოპერაციების შურნალის მიზნის სწორად განსაზღვრა	პირველადი ოპერაციების შურნალის სახეობების განმარტება	ცოდნის გაზიარებით მონაწილეობა განმარტებების მიცემაში	დისკუსია და ლექცია	თეთრი დაფა	30 წუთი
	დავადების მიცემა, რომელიც გულისხმობს ოპერაციების ეტაპების ჩამოთვლას	აქტივობაზე დამოუკიდებლად მუშაობა.	პასუხების დაწერა	ფურცელი და კალამი	30 წუთი
	აქტივობა 2 - პირველადი ოპერაციების მიზნით.	ჯგუფური სამუშაო	დისკუსია და პრეზენტაცია	ფურცელი და კალამი / თეთრი დაფა პრეზენტაციისთვის	30 წუთი

წყაროები	განმარტეთ წყაროები და ამ დოკუმენტების სხვადასხვა სახეობა.	მასწავლებლის მოსმენა და დისკუსიაში მონაწილეობა.	ბრენსტორმინგი	თეთრი დაფა	30 წუთი
კავშირი წყაროებს და პირველადი ოპერაციების მონაცემებს შორის	აჩვენეთ ოპერაციების ეტაპების აღრიცხვის დიაგრამა და დიაგრამის საშუალებით განმარტეთ წაროების მნიშვნელობა	მასწავლებლის მოსმენა დისკუსია	ლექცია და დისკუსია	ოვერჰედ პროექტორი / თეთრი დაფა	30 წუთი
დღგ-ს ჩაწერის ეტაპები.	აჩვენეთ კავშირი წყაროებსა და პირველადი ოპერაციების მონაცემებს შორის.	მასწავლებლის მოსმენა	დისკუსია	თეთრი დაფა	30 წუთი
შეცვალეთ პირველადი ოპერაციების მონაცემების ჟურნალის ფორმატი ფინანსური ანგარიშების ფორმატით.	განმარტეთ დღგ და მისი ჩაწერის ეტაპები.	მასწავლებლის მოსმენა და იმ ინფორმაციის / ცოდნის გამოარება, რაც მათ ამ სფეროში აქვთ.	ბრენსტორმინგი	თეთრი დაფა	30 წუთი
პირველადი ოპერაციების მონაცემების ჟურნალის ფორმატი ფინანსური ანგარიშების ფორმატით.	ახსენით პირველადი ოპერაციების მონაცემების ფინანსურ ანგარიშებად შეცვლის პროცესი შესაფერისი მაგალითების გამოყენებით.	გაკვეთილზე მონაწილეობა ცოდნის გამოარებით	ლექცია და დისკუსია	თეთრი დაფა/ ოვერჰედ პროექტორი	30 წუთი
აქტივობა 1-ის, რომელიც ეხება ჟურნალს, დავთარსა და საცდელ ბალანსს, ხელმძღვანელობა.	აქტივობა 1-ის, რომელიც ეხება ჟურნალს, დავთარსა და საცდელ ბალანსს, ხელმძღვანელობა.	დამოუკიდებლად აქტივობის კეთება	დამოუკიდებელი სამუშაო	დამხმარე მასალები (ჰენდაუთები) და ფურცელი და კალამი	1 საათი
აქტივობა 2 მარტივი სავაჭრო ანგარიში საცდელი ბალანსიდან გამომდინარე.	აქტივობა 2 მარტივი სავაჭრო ანგარიში საცდელი ბალანსიდან გამომდინარე.	აქტივობა	დამოუკიდებელი სამუშაო	დამხმარე მასალები (ჰენდაუთები)	1 საათი

სწორად განსაზღვრეთ მარტივი ფინანსური ანგარიშის მნიშვნელობა	ასენით მოგების და ზარალის მნიშვნელობა, მიზანი და ბალანსი	მასწავლებლის მოსმენა	დისკუსია/ ბრეინსტორმინგი	თეთრი დაფა / ოვერჰედ პროექტორი	30 წუთი
	აქტივობა 1 მოგებისა და ზარალის მარტივი ანგარიშები, ხელმძღვანელობა	აქტივობა	დამოუკიდებელი სამუშაო	დამხმარე მასალები (ჰენდაუთები)	30 წუთი
	აქტივობა 2 ბალანსი	აქტივობა	დამოუკიდებელი სამუშაო	დამხმარე მასალები (ჰენდაუთები)	30 წუთი
	აქტივობა 3 სავაჭრო მოგებისა და ზარალის ანგარიში და ბალანსი	აქტივობა	ჯგუფური სამუშაო	დამხმარე მასალები (ჰენდაუთები)	20 წუთი
სწავლის შედეგი 2 შეფასების კრიტერიუმები (ა, ბ, გ, დ)	განმავითარებელი შეფასება. სწავლის შედეგი 2 შეფასების კრიტერიუმები (ა, ბ, გ, დ)	შეფასება	დამოუკიდებელი	შეფასების ინსტრუმენტი ფურცელი და კალამი	1 საათი
სწავლის შედეგი 2 შეფასების კრიტერიუმები (ე, ვ)	განმავითარებელი შეფასება სწავლის შედეგი 2 შეფასების კრიტერიუმები (დ, ე)	შეფასება	დამოუკიდებელი	შეფასების ინსტრუმენტი ფურცელი და კალამი	1 საათი
სწავლის შედეგი 2 შეფასების კრიტერიუმები (ა, ბ, გ, დ, ე, ვ)	შემჯამებელი შეფასება	შეფასება	დამოუკიდებელი	შეფასების ინსტრუმენტი და კალამი	2 საათი
სწავლის შედეგი 2 შეფასების კრიტერიუმები (ა, ბ, გ, დ, ე, ვ)	აღდგენის გაკვეთილი მათთვის, ვინც მიზანს ვერ მიაღწია.	მიღეთ მონაწილეობა და განმარტეთ საეჭვო საკითხები	დამოუკიდებელი / ჯგუფური	წინა დამხმარე მასალები (ჰენდაუთები)	1 საათი
	სწავლის შედეგი 2-ს ხელახლა შეფასება	შეფასება	დამოუკიდებელი	შეფასების ინსტრუმენტი	2 საათი

დანართი 3: ტექსტზე დაფუძნებული სასწავლო მასალების შეფასების ჩამონათვალი

ტექსტზე დაფუძნებული, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო მასალების შეფასება შესაძლებელია ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით. ეფექტურმა მასალებმა უნდა დააკმაყოფილოს უმეტესი ან ყველა კრიტერიუმი. კრიტერიუმები უკავშირდება სასწავლო მასალის სახეობას:

მასალები, რომლებიც გამოიყენება ფასილიტატორის მიერ საკლასო ოთახში ჩატარებული გაკვეთილებისთვის			
კრიტერიუმები	კი	არა	დაკვირვებები
ვიზუალური მხარე			
სტრუქტურ გასაგებია			
სათაურები და ქვესათაურები ეფექტურად არის გამოყენებული			
ნუმერაცია/ასოებით ნუმერაცია ეფექტურად არის გამოყენებული			
სივრცე ეფექტურად არის გამოყენებული			
შესაბამისი შრიფტია გამოყენებული სტილისა და ზომების მიხედვით			
ტექსტისა და აზრის გაგების ხელშეწყობის მიზნით შესაფერისი გამოსახულებებია გამოყენებული			
შინაარსი			
სწავლის შედეგები გასაგებად არის მითითებული			
ეფუძნება სტუდენტის ცოდნასა და გამოცდილებას			
ხელს უწყობს ურთიერთობას ფასილიტატორთან			
ხელს უწყობს სოციალურ კავშირს სხვა სტუდენტებთან			
მოიცავს წყვილების/მცირე ჯგუფების მიერ განსახორციელებელ აქტივობებს			
სწავლა ვითარდება მკაფიოდ განსაზღვრული ეტაპების მეშვეობით			
ყოველ ეტაპზე ხდება სწავლის კონსოლიდაცია			
უკავშირდება რეალურ სიტუაციებს			
ხელს უწყობს სტუდენტების მიერ ჰიპოთეზების წამოყენებას			
მოსწავლეებისგან მოითხოვს პრობლემების გადაჭრას			
მოიცავს როლურ თამაშს ან სიმულაციას			
ხელს უწყობს მოსწავლეებს, რომ იფიქრონ სწავლაზე			
წარმოადგენს ინტელექტუალურ გამოწვევას სტუდენტებისთვის			

ენა			
ზუსტი ენა (მართლწერა, გრამატიკა, პუნქტუაცია და ა.შ.)			
შესაფერისი ენა (კონტექსტი, დონე და ა.შ.)			
გასაგები, ლაკონური და არაორაზროვანი ინსტრუქციები			
მისი მორგება შესაძლებელია სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებზე			

სასწავლო მასალების
ავტორი

შემმონმებელი/შემფასებელი

თარიღი

კომენტარები



პროექტი დაფინანსებულია
ევროპის კავშირის ფარგლებში



ხარისხის განვითარებისა და შესაძლებლობების გაძლიერების
ხელშეწყობის პროგრამა საქართველოს პროფესიული
განათლების სექტორში

გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ პროექტი
და მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული
ევროკავშირის პოზიციად.

პროექტი ხორციელდება: შემდეგ ორგანიზაციასთან
თანამშრომლობით:

